ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 6 ივნისი, 2013 — №132 (6133) — ფასი: 30 თეთრი

6 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
ქართული შედევრები
ტომი 2 — 8 ლარი
ალექსანდრე ბატონიშვილი




# სოსო ჯაჭვლიანი პრემიერისგან განმარტებებს ითხოვს



გვ.4

## ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილმა კეთილი ინებოს და მოახსენოს ხალხს, სად დადის და რას აკეთებს!“

გვ.3





გვ.2

## ლევან ბერძენიშვილი: „ღმერთები არ ვართ, შეიძლება, შევცდეთ“

## რასმუსენი ნატოში გველოდება

გვ.4



## სააკაშვილი: „იმედია, უშიშროების საბჭოს შემდეგ სხდომას ივანიშვილი დაესწრება“

გვ.3



## საპარტნიორო ფონდმა სოფლის მეურნეობის დარგში მასშტაბური პროექტი განახორციელა

გვ.7



## „42 ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩა“

გვ.4

ნაციონალები მეოცნებეებს 4 პუნქტიან რეკომენდაციას სთავაზობენ

## გამომცემლები მარგველაშვილს უჩივიან



გვ.2



გვ.2

## ნინო ბურჯანაძე: „უშიშროების საბჭოს სხდომა ფორმალობაა“

## სოლომონ პავლიაშვილი: „საქართველოში იაპონელი ინვესტორი არ შემოვა“



გვ.5

4 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
კოტე მარჯანიშვილი
4 ლარი




ISSN 1987-9385

**2** თეა წულუკიანი კოტე კუბლაშვილს საჯარო დებატებში იწვევს

**6** ზაზა ხატიაშვილი: „ციხეებში პატიმართა წამებაში მონაწილე პირები პატიმრებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენ“

**2** ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვართან 200 ხის კოტეჯის აშენება იგეგმება

**7** მოგვარდა თუ არა მაღაროელთა პრობლემები

# ლევან ბერძენიშვილი: „ღმერთები არ ვართ, შეიძლება, შევცდეთ“

შორენა გონგლაძე

**უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას, მისამართით პროკურატურასა და საზოგადოებაში არის კითხვები და მას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.**

როგორც ბერძენიშვილმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, გაუგებარია როგორ შეინახა სახელმწიფომ უწყება, რომელსაც 7-8 თვის მანძილზე არაფერი გაუკეთებია.

— მივა თუ არა პრემიერი უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ეს მისი გადასაწყვეტია და ალბათ თვითონ გააკეთებს განცხადებას. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს, ფაქტია, რომ მის მუშაობაზე კითხვები არსებობს და ბოკერიას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. თუ სწორად იხარჯებოდა იქ ფული, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, მაგრამ თუ კანონი ირღვეოდა და ბიუჯეტის ფული იხარჯება, ამაზე იქნება რეაგირება. ვერავინ ვერ დადგება კანონზე მაღლა, ვერც უშიშროების საბჭოს მდივანი — აცხადებს ბერძენიშვილი.

გიგა ბოკერიასთან მიმართებაში კითხვები რომ არსებობდა, ამაზე რამდენიმე დღის წინ პრემიერმაც ისაუბრა, მისი თქმით, არ არის გამორიცხული, რომ დადგეს გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან ლობისტებისთვის თანხის გაცემა სწორედ გიგა ბოკერიას სამსახურიდან ხდებოდა და მასთან შეკითხვები არსებობს. „შეკითხვები აუცილებლად იქნება, მას ალბათ მოუწევს, პასუხები გასცეს გამოძიებასაც, თუ გამოძიება დაუსვამს მას. ბიძინა ივანიშვილის თქმით, მის მთავრობასაც აქვს ფული გამოყოფილი ლობისტებისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი არის გამჭვირვალე და დევს ვებ-გვერდზე.

რაც შეეხება გიგა ბოკერიას განცხადებას უშიშროების საბჭოს მოწვევასთან დაკავშირებით, სადაც ბოკერია ამბობს, რომ პრემიერისგან იყო ნეგატიური დამოკიდებულება ამ საკითხის



მიმართ. „თუ მისი დამოკიდებულება შეიცვალა და ის მოიცლის ასეთი საკითხებისთვის, კარგი იქნება და ცალკეული დეპუტატების განცხადებები ვერ იქნება პასუხი პრემიერისგან“, — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ. კითხვაზე, თუ რა პასუხს გასცემს პრემიერი ბოკერიას, ივანიშვილი პასუხობს: — მე მას არ ვპასუხობ, არაფერი საპასუხო არ მაქვს მე. უკვე რვა თვეა საბჭო არ მოუწვევია. რაში იღებენ ხელფასს და რას აკეთებენ? ეს წამოვიდა ჩვენგან, ჩვენი გუნდიდან, პარლამენტიდან, დაიწყო საყვედურების გამოთქმა, რას აკეთებს უშიშროების საბჭო, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? მარტო იმას აკეთებს, რომ ამერიკაში დადის და ლობისტებს უხდის ფულს? „ვაშინგტონ პოსტის“ განცხადება იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ბოკერია ამერიკაში იმყოფებოდა. რას აკეთებენ ისინი ქვეყნისთვის? სად დადის პრეზიდენტი და რისთვის დადის ბოკერია? არავინ არაფერი არ ვიცით. რას აკეთებს უშიშროების საბჭო და რაში იღებენ ხელფასს? რაში იღებენ ჩვენი გადამხდელების ფულს? ეს წამოვიდა ჩვენგან და ჩვენი გუნდიდან, მოსთხოვეს მათ პასუხი და ეს არის მათი რეაქცია, არა მათი ნება, რომ გაუჩნდათ სურვილი, მოიწვიონ საბჭო“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება „ვაშინგტონ პოსტში“ ბოლო დროს საქართველოსთან მიმართებაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიებს, ბერძენიშვილი გამოცემას პასუხობს და ამბობს, რომ: „ვაშინგტონ პოსტს“ შევახსენებ, საქართველოში დემოკრატია უკან მაშინ წავიდა, როცა პატიმრებს აწამებდნენ. ბერძენიშვილი ამბობს, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ სტატია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მის უცხოელ ლობისტებს შეუკვეთა.

— ღმერთები არ ვართ, შეიძლება შევცდეთ, მაგრამ, მაშინ როდესაც საქართველოში „ვაშინგტონ პოსტის“ არც ერთი ჟურნალისტი არ ყოფილა. საფუძვლიანი ეჭვი შეიძლება არსებობდეს, რომ ეს მასალა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მის ლობისტებს შეუკვეთა. მე „ვაშინგტნ პოსტს“ შევახსენებ საქართველოში დემოკრატია უკან მაშინ წავიდა, როდესაც პატიმრებს აწამებდნენ. ყველას კარგად გვახსოვს, მათიას იორში რომ ჩამოვიდა საქართველოში და ნაწამები სულხან მოლაშვილი მოინახულა ციხეში. სამწუხაროა, ის გარემოება, რომ მაშინ ამ საქმემ სათანადო ყურადღება ვერ მიიქცია და იორშმა მხოლოდ ეს ყველაფერი ევროსაბჭოში გაასაჩივრა — აცხადებს ბერძენიშვილი.

ლევან ბერძენიშვილის ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა ციხეში წასაკითხად 80 წიგნი მოითხოვა. ბერძენიშვილის თქმით, ის, როგორც ყოფილი პატიმარი, ამ წიგნებში შერჩევაში მონაწილეობას სიამოვნებით მიიღებდა.

— როგორც გავიგე, მერაბიშვილს ციხეში 80 წიგნი მოუთხოვია. ვთვლი, რომ სწორად მოითხოვა, მისი კითხვის ტემპის გათვალისწინებით მას დასჭირდება 80 წიგნისთვის ის დრო, რაც ექნება მოსაფიქრებლად. მე პირადად სიამოვნებით შევურჩევდი მერაბიშვილს იმ 80 წიგნს, რომლის წაკითხვაც მოუთხოვია — აცხადებს ბერძენიშვილი.

## თეა წულუკიანი კოტე კუბლაშვილს საჯარო დებატებში იწვევს





საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გმობს მართლმსაჯულების ხელმძღვანელთა მიერ მოსამართლეთა შეცდომაში შეყვანის მცდელობას. განცხადებას ამის შესახებ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

„იუსტიციის მინისტრი თვლის, რომ დაუშვებელია, მოსამართლეთა გარკვეული ჯგუფების შეცდომაში შეყვანის მიზნით, გამოგონილი მიზეზებით, ორგანიზებულ ღონისძიებებზე მათი ქალაქგარეთ გაყვანა და იქ მოსამართლეთა დარწმუნების მცდელობა, რომ, თუკი ისინი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ შემადგენლობას მხარს დაუჭერენ, ამით მათ საფრთხე შეექმნებათ.

თეა წულუკიანი აცხადებს, რომ 9 ივნისი უმნიშვნელოვანესი დღეა ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში, და იმედს გამოთქვამს, რომ მოსამართლეები თავიანთი ღირსების შესაბამისად, დემოკრატიულ და გამჭვირვალე არჩევნებს ჩაატარებენ“ — ნათქვამია განცხადებაში.

იუსტიციის მინისტრი ამ და სხვა საკითხებზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილს საჯარო დებატებში

ნიუსპრესი

## ქართველ ემიგრანტებს ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობა სურთ

მოძრაობა „თეთრების“ ინფორმაციით ,ქართველმა ემიგრანტებმა მომავალი საქართველოს აღმშენებლობაში ჩართვის სურვილი გამოთქვეს და მათ დოკუმენტს „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული საქართველო“ მხარი დაუჭირეს. როგორც მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ემიგრანტები თვლიან, რომ ყოველი ქართველი, ყოველი აფხაზი დაბადებისთანავე უნდა ითვლებოდეს საქართველოს მოქალაქედ, ვინაიდან ორთავ არის აბორიგენი ერი და ორთავეს სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი — არ გააჩნია. ამას გარდა, საქართველოს ყოველი მკვიდრის მოქალაქეობრივი ქვეშევრდომობა უნდა რჩებოდეს ხელშეუხებელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს. საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მოცემული პიროვნების წერილობითი განცხადების და არა პრეზიდენტის ნება-სურვილის საფუძველზე.

„ასეთ ფაქტებს განსაკუთრებით მწვავე ელფერი ეძლევა მოვლენათა ფონზე, როდესაც ფრიად საეჭვო პიროვნებებს საქართველოს მოქალაქეობა ეძლევათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნების შემთხვევაშიც. არ შეიძლება გონიერი ახსნა მოეძებნოს ქართველისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევას და იგივე გარემოებების შემთხვევაში უცხოელისთვის ორმაგი მოქალაქეობის შენარჩუნებას“. — აცხადებენ ემიგრანტები. როგორც მოძრაობის წევრები აცხადებენ, სწორედ ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრებმა გამოამჟღავნა მათი დიდი ინტერესი საქარველოში მიმდინარე პროცესებისადმი.

მედიანიუსი

## ნინო ბურჯანაძე; „უშიშროების საბჭოს სხდომა ფორმალობაა“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის შეფასებით, არანორმალურია, რომ რვა თვის განმავლობაში უშიშროების საბჭო პირველად იმართება. როგორც მან გუშინ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, უშიშროების საბჭოს დღევანდელი სხდომა ფორმალობაა.

„რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ივანიშვილმა და სააკაშვილმა ერთობლივად, ამიტომ დღეს ეს ფორმალობაა. კოჰაბიტაცია შეუძლებელია, როდესაც ერთი მხარე მეორეს დამნაშავედ მიიჩნევს“, — განაცხადა ბურჯანაძემ და მიხეილ სააკაშვილის ის განცხადებაც გაიხსენა, როდესაც პრეზიდენტმა არჩევნების შემდეგ გამოაცხადა, რომ ის ოპოზიციაში გადადიოდა. მისი შეფასებით, ნონსენსია, რომ პრეზიდენტი იყოს ოპოზიციაში.

„ყველაზე დიდი შეცდომა, რაც სააკაშვილმა დაუშვა, არის ის, როცა მან თქვა, რომ ის იყო ოპოზიციაში. ის, რომ არ აყოლოდა თავის ემოციას, ეთქვა, რომ წააგო ჩემმა პარტიამ, მაგრამ მე ყველა თქვენგანის პრეზიდენტი ვარ მაინცო „ — განაცხადა ბურჯანაძემ.

მედიანიუსი

## „უკეთესი იქნებოდა, ჟურნალისტებმა კონტექსტს მეტი ყურადღება მიაქციონ და უადგილო აჟიოტაჟი არ ატეხონ“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, უკეთესი იქნებოდა, ჟურნალისტებმა კონტექსტს მეტი ყურადღება მიაქციონ და უადგილო აჟიოტაჟი არ ატეხონ იქ, სადაც ამის საჭიროება არ არის.

ამის შესახებ ბურჯანაძემ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

შეკითხვაზე, თუ რა კომენტარს გააკეთებდა ის „პრაიმ-თაიმში“ პრემიერ-მინისტრის მიერ 26 მაისის მოვლენებთან და მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა განაცხადა, რომ იმუნიტეტით არავინ არ უნდა სარგებლობდეს და კანონდარღვევაზე, თუ ის არსებობს, პასუხი ნებისმიერმა ადამიანმა უნდა აგოს.

„მე ზუსტად ისე მივიღე ეს განცხადება, როგორც ნათქვამი იყო და როგორც ეს გუშინ ბიძინა ივანიშვილმა და არჩილ კბილაშვილმა განმარტეს. თუ მომავალში ვინმეს მიმართ, ეს იქნება მოქმედი თუ ყოფილი პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი ან ნებისმიერი მოქალაქე, იქნება რაიმე დასაბუთებული ეჭვი დანაშაულებრივი მოქმედებისა, რა თქმა უნდა ნებისმიერი ადამიანი უნდა წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე და არავინ არ უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით. საერთოდ კი, უკეთესი იქნებოდა, რომ ჟურნალისტებმა კონტექსტს მეტი ყურადღება მიაქციონ და უადგილო აჟიოტაჟი არ ატეხონ იქ, სადაც ამის საფუძველი არ არსებობს“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

## გამომცემლები მარგველაშვილს უჩივიან



გამომცემლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანენ. როგორც გამოცემა „ინტელექტის“ ხელმძღვანელმა კახმეგ კუდავამ „პირველ რადიოსთან“ განაცხადა, საქმე ეხება მინისტრის ბრძანებას უფასო სახელმძღვანელობის ბეჭვდასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამინისტრომ მიითვისა საავტორო უფლებები, როგორც გამომცემლობები ასევე ავტორების.

„ირღვევა კონსიტიტუციის 21 და 23 მუხლი. შეგვაქვს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. ეს არის 6 გაგმომცემლობა „არტანუჯი“, „დიოგენე“, „ინტელექტი“, „ბაკურ სულაკაური“, ლოგოს პრესი“ და „პედაგოგიკა -ირინა რუხაძე“. ეს ეხება ჩვენი წართმეული სახელმძღვანელობის საკითხს. ეს 6 გამომცემლობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების იმ დებულებას ასაჩივრებს, რომელიც არის არაკონსტიტუციური და ეხება იმას, რომ განათლების სამინისტრომ მიითვისა საავტორო უფლებები გამომცემლობების და ავტორების. სამართლებრივ დახმარებას გვიწევს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“,- განაცხადა კახმეგ კუდავამ „პირველ რადიოსთან“

მედიანიუსი

## ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვართან 200 ხის კოტეჯის აშენება იგეგმება

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, რაშიდ ნურგალიევის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის საზღვრისპირა დასახლებული პუნქტები სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის საჭიროა საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

სააგენტო „რესის“ ცნობით, ამის შესახებ რაშიდ ნურგალიევმა რუსეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დე-ფაქტო მთავრობის წევრების შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, საზღვრისპირა განვითარების პროგრამა სწორედ ამ სოფლებს მოიცავს, რომლებიც საჭიროებენ სკოლებს, საბავშვო ბაღებს, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას და მათ შორის წყალმომარაგებას.

ნურგალიევის განცხადებით, საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლებს ხელი არ მიუწვდებათ არც სამედიცინო დახმარებაზე.

„საზღვრის გასწვრივ მოგვიწევს დაახლოებით 200 ხის კოტეჯის აშენება, რომელთა აგება საპროექტო-საბიუჯეტო დოკუმენტაციას არ საჭიროებს. უკვე არის კონკრეტული მონახაზები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ რესპუბლიკის დასავლეთ საზღვრებს. ჩვენ უკვე წელსვე შეგვიძლია 200 თუ არა, 30 ობიექტის აგება იქ, სადაც სიტუაცია კრიტიკულია. ჩვენ ამის განხორციელებას ცალკე პროგრამის ფარგლებში ვფიქრობდით, მაგრამ შეიძლება, აქვს აზრი იმას, რომ პირველი ნაბიჯები ამ მხრივ უკვე არსებული საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში გადავდგათ“-აღნიშნა ნურგალიევმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილმა კეთილი ინებოს და მოახსენოს ხალხს, სად დადის და რას აკეთებს!“

ნათია ხურცილავა

შვიდთვიანი პაუზის შემდეგ უშიშროების საბჭო შეიკრიბა, თუმცა არასრულად, რადგან საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ მივიდა. მიუსვლელობის მიზეზად პრემიერმა დაგვიანებული მიწვევა და უკვე გაწერილი დღის გრაფიკი დაასახელა.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ პირდაპირი ეთერით თუ პრესკონფერენციით ბევრი ახსნა-განმარტება გააკეთა, თუ რას წარმოადგენდა უშიშროების საბჭო და აპარატი, როგორც ჩანს, ბოკერიამ თავისი ახსნილი ადრესატამდე ვერ მიიტანა.

პრემიერ-მინისტრი დაინტერესებულია, რაში იღებს სტრუქტურა ხელფასს თუ თავის ფუნქციას ვერ ასრულებს და უშიშროების სხდომები არ ტარდება?

გუშინ მოვლენები ასე განვითარდა: უშიშროების საბჭოს სხდომა პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გახდა ცნობილი, რომ პრემიერი არ აპირებდა მისვლას, ამის შესახებ ივანიშვილმა სოციალ-დემოკრატების ყრილობის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დათქმულ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი მივიდნენ. ადმინისტრაციაში უკვე იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

უშიშროების საბჭოს სხდომას, როგორც ეს გაწერილია, თავდაცვის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრიც უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ ირაკლი ალასანია ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება, მაია ფანჯიკიძე კი – ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სხდომას მათი მოადგილეები: თამარ ქაროსანიძე და დავით ზალკალიანი დაესწრნენ.

– უშიშროების საბჭოს სხდომას არ დავესწრები. ვერ ვხედავ აუცილებლობას, რომ ჩემი დღის გრაფიკი დავარღვიო, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, დღეს არაფერი ჩანს სასწრაფო და განსაკუთრებული იმისთვის, რომ მან გრაფიკი შეცვალოს და უშიშროების საბჭოს სხდომას დაესწროს.

როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის, საუბედუროდ, ვერ მივა დღეს დაგეგმილ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რადგან მას სხდომის გამართვის შესახებ გუშინ, 19:00 საათის შემდეგ შეატყობინეს, როდესაც, პრემიერის თქმით, მას გრაფიკი უკვე გაწერილი ჰქონდა.

– როგორც ვიცი, ქვეყანაში გუშინ და გუშინწინ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, – ამბობს ივანიშვილი.

ჟურნალისტის კითხვაზე, მიაჩნია თუ არა მნიშვნელოვან საკითხად საოკუპაციო ზოლის გადმოწევა? ივანიშვილი ამბობს, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია, თუმცა ეს არ მომხდარა გუშინ და გუშინწინ.

– თუ ჰქონდათ რეაგირების სურვილი, უნდა შეკრებილიყვნენ გაცილებით ადრე და დღის წესრიგი მოეწოდებინათ რეალურ დროს, – განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს სხდომას მისი გუნდის წევრები დაესწრებიან.

– არ ჩანს ამის აუცილებლობა, რომ მე ჩემი გრაფიკი შევცვალო, მაშინ, როდესაც ეს სტრუქტურა შვიდი თვეა, არ შეკრებილა. ეს სტრუქტურა ბიუჯეტიდან იღებს ხელფასს და გაუგებარია, ამდენ ხანს რატომ არ იკრიბებოდნენ. ეს არის ძველი ხელისუფლების სტილი, რომ არაფერს აკეთებენ და მერე რატომღაც სასწრაფოდ მოიისურვეს და რამდენიმე საათის წინ შეგვატყობინეს. შვიდი თვე გავიდა და არ ჩანს, რას აკეთებს ეს სტრუქტურა, თუმცა არაფერი ხდება ისეთი საქართველოში, რომ ჩვენ ყოველგვარი მოღვაწეობა და შეხვედრები შევწყვიტოთ და უშიშროების საბჭოს სხდომას დავესწროთ. ე.წ საზღვრის გადმოწევა გუშინ არ მომხდარა. ეს პროცესები დიდი ხანია მიმდინარეობს და თუ მათ მიაჩნდათ, რომ ამაზე რეაგირება იყო საჭირო, უშიშროების საბჭო გაცილებთ ადრე უნდა შეკრებილიყო და დღის წესრიგი ნორმალურ დროში უნდა მოეწესრიგებინათ. დღეს არაფერი ჩანს სასწრაფო და განსაკუთრებული, რომ გრაფიკი შევწყვიტო და გეგმა გავაუქმო, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა გვითხრა, რომ მან პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და მისი გუნდის სხვა წევრებს, რომლებიც უშიშროების საბჭოს სხდომას ესწრებიან, სთხოვა უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასვან შეკითხვა პრეზიდენტის მივლინებების თაობაზე.

– კეთილი ინებონ და მოახსენონ ხალხს, სად დადის პრეზიდენტი, რას აკეთებს და რა წარმატებებს მიაღწია, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, – ძალიან კარგი იქნება, თუ ამას უშიშროების საბჭოს სხდომაზე მაინც ვიკითხავთ და ამისთვის შევიკრიბებით. მე არ ვიცი რა შემთხვევაში უნდა იყოს პრეზიდენტის ვოიაჟები ხალხისთვის დამალული. ჩემი შეკითხვაა, რაც არაერთხელ დავსვი და რასაც დღესაც დაუსვამენ, კეთილი ინებონ და მოახსენონ, სად დადის პრეზიდენტი, რას აკეთებს, რა წარმატებებს მიაღწია. მას ვოიაჟების უფლება, რა თქმა უნდა, აქვს, თუმცა ამისთვისაც საჭიროა განცხადება, რომ შვებულებაში მიდის, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა გუშინ ჟურნალისტების სხვა კითხვებსაც გასცა პასუხი. ერთ-ერთი კითხვა „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიასაც შეეხებოდა.

ივანიშვილს რჩება ეჭვი, რომ „ვაშინგტონ პოსტს“ ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ლობისტებისგან აქვს.

– როდესაც „ვაშინგტონ პოსტი“ აკეთებს მინიშნებას, რომ მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და ევროკომისრების განცხადება სუსტი იყო, მე ჩემს გაკვირვებას გამოვთქვამ, რის საფუძველზე მიუთითეს ეს. მათ აქ შესატყვისი სტრუქტურები აქვთ – საელჩოები, წარმომადგენლობა ჰყავთ, ეუთო-ს დამკვირვებლები აკვირდებიან პროცესს საქართველოში. ევროპიდან მოვლინებულია ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი სამართალდამცველი თომას ჰამერბერგი, რომ ამ პროცესს თვალყური ადევნოს. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, ეშტონმა და ფულემაც განცხადებები სწორედ ამის საფუძველზე გააკეთეს. აქედან გამომდინარე, ისმის შეკითხვა, რის საფუძველზე გამოხატავს თავის უკმაყოფილებას მათ „სუსტ განცხადებებზე“ „ვაშინგტონ პოსტი“, როდესაც მას საქართველოში არც ერთი ჟურნალისტი არ მოუვლენია, არავითარი კვლევა არ ჩაუტარებია. შესაბამისად, მრჩება ეჭვი, რომ მათ ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის ლობისტებისგან აქვთ, – ასე პასუხობს ივანიშვილი „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიასთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, უკანონო ფარული ჩანაწერების არქივის განადგურებას შეეხებოდა. როგორც აღმოჩნდა, ფარული ჩანაწერების არქივის განადგურებას სპეციალისტთა შორის მოწინააღმდეგეები ჰყავს.

– როგორც ვიცი, მიდის განხილვა არქივის განადგურებაზე, თუმცა ჰყავს მოწინააღმდეგეები – სპეციალისტები, პროფესიონალები. სხვათა შორის, ექსპერტებთან მქონდა საუბარი. ერთ-ერთი პრინციპული მოწინააღმდეგე კახი კახიშვილი გახლავთ. აცხადებენ, რომ ეს გამოძიებას დაეხმარება და რომ ჩვენ უნდა ვნახოთ შენახვის მეთოდი, იმის მსგავსი, როგორც ბანკში ფული ინახება. საბოლოო ჯამში, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ სირცხვილიდან თავი დავაღწიოთ და მსგავსი საქართველოში არაფერი განმეორდეს. ამისთვის სამართალი უნდა გავაძლიეროთ, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც ცნობილია, 9 ივნისს მოსამართლეთა კონფერენცია იგეგმება. ჟურნალისტების კითხვაზე, რას უნდა ელოდოს საზოგადოება ამ კონფერენციისგან? პრემიერი აცხადებს, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ნაბიჯი დამოუკიდებელი სასამრთლოსკენ. ასევე პრემიერმა განაცხადა, რომ მოსამართლეებისთვის ანაზღაურების სერიოზულად გაზრდა იგეგმება.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მოვახერხოთ და სასამართლო გავხადოთ მაქსიმალურად დამოუკიდებელი და მოსამართლეთა კონფერენცია ამისკენ ერთ-ერთი ნაბიჯია.



ივანიშვილის თქმით, მთავრობა 2014 წლის ბიუჯეტში მოსამართლეების ანაზღაურების სერიოზულად გაზრდას იხილავს.

– ისინი გათავისუფლდებიან ყოველგვარი პოლიტიკური წნეხისაგან, არჩევნები იქნება, სოციალურ-ეკონომიკური თავისუფლება ექნებათ, რამეთუ ჩვენ მათ სერიოზულად გავუზრდით ანაზღაურებას და არ იქნება არავითარი პოლიტიკური ჩარევა, – განაცხადა ივანიშვილმა.

– ჩვენ შევუქმნით მათ იმ პირობებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისგან გათავისუფლდნენ. ყევლაფერს გავაკეთებთ, რომ დამოუკიდებელ სასამართლოს მივაღწიოთ, – აღნიშნა ივანიშვილმა

კახეთში სეტყვა კვლავ აქტუალურია. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კახეთში დასეტყვილი სოფლების მოსახლეობას ხელისუფლება შესატყვის დახმარებას აღმოუჩენს.

„სოციალ-დემოკრატების“ ყრილობას ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით მიმართა. ყრილობაზე ცნობილი გახდა, რომ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ევროპის „სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ წევრი ხდება.

ყრილობის პარალელურად „პროფკავშირების“ შენობასთან „კლუბ თავისუფალი ზონის“ აქტივისტებმა აქცია გამართეს. სამი აქტივისტი პატრულმა დააკავა, რომლებიც მოგვიანებით ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. როგორც შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა განაცხადა, ისინი საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ.

# სააკაშვილი: „იმედია, უშიშროების საბჭოს შემდეგ სხდომას ივანიშვილი დაესწრება“



ნათია ხურცილავა

უშიშროების საბჭოს სხდომას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ დასწრებია, თუმცა მისი ნდობით აღჭურვილი პირები სხდომაზე იმყოფებოდნენ. სხდომის დასრულების შემდეგ საბჭოს წევრებმა განცხადებები გააკეთეს. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს პრემიერის სხდომაზე არ მისვლის გამო.

უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია იმედოვნებს, რომ მომავალში პრემიერ-მინისტრი „ასეთი მნიშვნელოვანი შეკრებების დროს თავის გრაფიკთან შეათავსებს“.

როგორც ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, სხდომაზე განსახილველი თემები იყო ოკუპაციის ხაზის გადმოწევა და არაღიარების პოლიტიკა. ბოკერიას შეფასებით, შეხვედრამ საქმიანად ჩაიარა და ძალიან სასარგებლო იყო.

– რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხაროა, რომ პრემიერ-მინისტრმა ვერ მოახერხა მოსვლა, განსაკუთრებით, მისი გუშინდელი მოწოდებების ფონზე. თუ არ ვცდები, ის იყო რაღაც პარტიის ყრილობაზე და როგორც მერე განაცხადა, ვერ შეცვლიდა გრაფიკს, რადგან ეს არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი. არ ვეთანხმებით პრემიერ-მინისტრს. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში თავის გრაფიკთან შეათავსებს ასეთი შეკრებების დროს და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საოკუპაციო ხაზის გადმოწევა, რომელიც ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებას პირდაპირ ეხება და წარმოადგენს საფრთხეს ჩვენი სუვერენიტეტისთვის და არაღიარების პოლიტიკაზე, ასეთივე საქმიანი შეხვედრები გვექნება, რომელშიც პრემიერიც მიიღებს მონაწილეობას, – განაცხადა ბოკერიამ.

მისივე ინფორმაციით, შეხვედრაზე მრავალ შესაძლო ერთობლივ მოქმედებაზე იყო საუბარი, თუმცა მან დეტალებზე საუბარი არ ისურვა.

– კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ ეს იყო ძალიან სასარგებლო და საქმიანი საუბარი, უფრო მეტი, ვიდრე კონსტრუქციული. იმედი მაქვს, რომ მომავალშიც იქნება შესაძლებლობა ასეთ საკითხებზე საუბრის. ხაზს ვუსვამ, იმედი მაქვს, რომ პრემიერ-მინისტრს, რომელმაც მანამდე ძალიან ხმამაღალი განცხადებები გააკეთა ამასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ რატომღაც დრო ვერ გამონახა მოსვლისთვის, ამ მუშაობაში მონაწილეობის საშუალება ექნება. ჩვენ შორის არის ფუნდამენტური, უზარმაზარი განსხვავებები და ვითარება ქვეყანაში, ჩვენი აზრით, არის საკმაოდ მძიმე მრავალი მიმართულებით, მაგრამ ქვეყნის ინტერესები გულისხმობს სწორედ იმას, რომ მიუხედავად ამისა, სადაც არის შესაძლებლობა და აუცილებლობა ერთობლივი მუშაობის, ეს უნდა მოხერხდეს. უშიშროების საბჭო არის ერთ-ერთი ასეთი ფორმატი და იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც ასეთი მუშაობა გაგრძელდება, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ბოკერია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ კოტეჯების მშენებლობას რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაგრძელებად აფასებს.

– ეს არის იმ აგრესიული პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც რუსეთი ახორციელებს, – განაცხადა ბოკერიამ.

მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ უშიშროების საბჭოს შემდეგ სხდომებს ბიძინა ივანიშვილიც დაესწრება.

– მე იმედს გამოვთქვამ, რომ უშიშროების საბჭოს შემდეგ შეკრებებს პრემიერ-მინისტრიც დაესწრება, იმიტომ, რომ ის უშიშროების საბჭოს მნიშვნელოვანი წევრია. დღეს, ალბათ, შინაგან საქმეთა მინისტრი მოგვაწვდის ინფორმაციას ე.წ. საზღვრის დადგენის მცდელობაზე მათი მხრიდან და სინამდვილეში, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რუსეთის უკანონო, საოკუპაციო ქმედებების გარშემო; ასევე, ჩვენ გავცვლით აზრებს არაღიარების პოლიტიკის თაობაზე, ბოლო ვიზიტებზე, რომელიც მე განვახორციელე, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად იმისთვის, რომ ჩვენ, ყველამ ერთად, შევძლოთ შემდგომშიც ამ პროცესის შეჩერება, როგორც ეს აქამდე იყო. ეს არის ძირითადი საკითხები, რაზეც ჩვენ დღეს შევიკრიბეთ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვას მიესალმება.

– მივესალმები იმ ფაქტს, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ, რომელიც განპირობებული იყო არჩევნებით, მთავრობის შეცვლით და სხვადასხვა პოლიტიკური რეალობით, ჩვენ შევძელით უშიშრობის საბჭოს ხელახლა შეკრება. მე ვფიქრობ, ეს ფორმატი საშუალებას გვაძლევს, ხელისუფლების ყველა შტოს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის წარმოდგენილი ამ შტოში, ყველა პოლიტიკურ ძალას – ერთად დავსხდეთ და ვილაპარაკოთ საქართველოს წინაშე არსებული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებზე, მთავარ საკითხებზე, რომელიც ჩვენს ხალხს აღელვებს. დღევანდელი დღის წესრიგი განპირობებულია იმ პროვოკაციებით, რომელსაც რუსეთის ფედერაცია აწყობს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, ასევე იმ თემებით, რომელიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის დამპყრობლის მცდელობებს, იაროს სხვადასხვა ქვეყანაში და მოიპოვოს მისი ოკუპაციის უკანონო აღიარება, ჩვენი ტერიტორიის შემადგენელი განუყოფელი ნაწილების ე.წ. დამოუკიდებლობის ცნობა. ამაზე ჩვენ აუცილებლად ერთად უნდა ვიმუშაოთ. ამიტომ ჩვენ ასეთი შეკრებები მუდმივად უნდა გავაგრძელოთ. ჩვენ ამ თემებზე დიდი გამოცდილება გვაქვს დაგროვილი. ეს არის ის საკითხები, რაც ყველას თანაბრად გვაღელვებს, იმიტომ, რომ ყველა ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამოვდივართ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტის გეგმებსა და მთავრობის პოლიტიკაზე ისაუბრეს.

– მოგეხსენებათ, კონსტიტუციის მიხედვით არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი ორგანო – უშიშროების საბჭო, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი თავმჯდომარეობს და მისი წევრები წამყვანი მინისტრები არიან. სამწუხაროდ, ეს ორგანო ბოლო 7 თვის განმავლობაში უფუნქციო იყო. საბჭოს სხდომები პრეზიდენტის გადაწყვეტილებით იმართება. ამის მიუხედავად, ჩვენ მათ არაერთხელ შევთავაზეთ, რომ საჭირო იყო ამ ორგანოს ამოქმედება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხების მოსაგვარებლად. ასევე იმისთვის, რომ დასრულებულიყო ის ეპოქა, როცა ჩვენ არ ვიცოდით რას საუბრობდა ქვეყნის პრეზიდენტი, როცა საქართველოს სტრატეგიულ თემებზე ამახვილებდა ყურადღებას და მან არ იცოდა, რა პოლიტიკას ატარებდა მთავრობა, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არ იმყოფებოდნენ თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები და სასურველი იქნებოდა სხდომის გადადება, პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მაინც მიიღო და მთავრობამ სხდომაზე მოსვლა გადაწყვიტა.

– საუბარი გვქონდა მიმდინარე საკითხებზე. პრეზიდენტისგან მოვისმინეთ ინფორმაცია, თუ რა მიმართულებით და რა საუბრები აწარმოა ბოლო ხანებში, რა აქვს დაგეგმილი ხვალ და ზეგ, რადგან ის კვლავ აქტიურად აპირებს საერთაშორისო ასპარეზზე ყოფ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

2013, 6 ივნისი, №132

# სოსო ჯაჭვლიანი ბიძინა ივანიშვილისაგან განმარტებებს ითხოვს

## ვის და რატომ აწუხებს 26 მაისი



შორენა მარსაგიშვილი

26 მაისის სისხლიანი ღამე კიდევ ბევრჯერ გახდება ხმაურიანი განცხადებების მიზეზი. დამნაშავეთა ნაწილიც დაისჯება. ყველა დამნაშავეს კოაბიტაციის ხათრით არ დასჯიან. სამაგიეროდ, შესაძლოა ნინო ბურჯანაძე დასაჯონ. ამის სურვილი ძირითადად ნაციონალებს სწვავდა. თუმცა თუ ეს სურვილი მეოცნებეებსაც შეულიტინებდა, ვერავინ წარმოიდგენდა. ყველაზე უცნაური ის იყო რომ ამის შესახებ განცხადება ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, 26 მასის მოვლენებზე ნინო ბურჯანაძის შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ამის შესახებ, პრემიერმა „პალიტრა ტივისთან" ინტერვიუში განაცხადა.

— ნებისმიერი მოქალაქეს, მათ შორის პრეზიდენტსაც, ბურჯანაძესაც, მეც, თქვენც, ყველას უნდა მოეკითხოს და კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ჩემთვის საინტერესო არის გამოძიება. უნდა დაველოდოთ, გამოძიების მიღმა ვნახოთ ის, რაც მოხდა, — განაცხადა ივანიშვილმა.

ამ თემაზე განცხადება მან გაზეთ „პრაიმ-ტაიმისთვის" მიცემულ ინტერვიუშიც გააკეთა.

ერთი შეხედვით ივანიშვილს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. ამის მიუხედავად მაინც შეიყარა ქვეყანა. განსაკუთრებით სახალხო კრება აღშფოთდა. იმ ავადსახსენებელი აქციის ორგანიზატორი სწორედ სახალხო კრება იყო. პრემიერის შეფასებამ დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანიც გააკვირვა.

ჯაჭვლიანი იმ აქციების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. ის 26 მაისის ღამეს დააპატიმრეს. მან პატიმრობაში ერთი თვე გაატარა. პროტესტის ნიშნად მან შიმშილობა გამოაცხადა. კაჭვლიანი ერთი თვის განმავლობაში შიმშილობდა. პრემიერის შეფასებით ის უკმაყოფილოა და განმარტებებს ითხოვს.

— რა გამოდის, 26 მაისს ვინც აქციაზე გამოვედით, ყველანი დამნაშავეები ვართ?" — აცხადებს სოსო ჯაჭვლიანი გაზეთ „ალიასთან" ინტერვიუში.

დეპუტატი დარწმუნებულია რომ ამ განცხადებას ივანიშვილი დამატებით განმარტებებს მოაყოლებს. მისი თქმით, სახალხო კრებას დანაშაული მართლაც რომ ჩაედინა, ამას ნაციონალები 2 წლის წინ დაამტკიცებდნენ.

— ვფიქრობ, რომ პრემიერის ამ კომენტარს აუცილებლად უნდა მოჰყვეს განმარტება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამიძნელდება პასუხის გაცემა. რა გამოდის, 26 მაისს ვინც აქციაზე გამოვიდა, ყველა დამნაშავე ვართ? შეიძლება პრემიერმა სხვა რამ იგულისხმა, თორემ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, მათ შორის პრემიერმაც, რა მოხდა 26 მაისს. თუ სახალხო კრებას რაიმე დანაშაული მიგვიძღოდა, ამას სააკაშვილზე უკეთ ვინ გამოიძიებდა?, — აცხადებს სოსო ჯაჭვლიანი გაზეთ „ალიასთან" საუბრისას.

ჯაჭვლიანამდე ივანიშვილს განცხადება ნონა გაფრინდაშვილმა და ირაკლი ბათიაშვილმაც დაუწუნეს. სახალხო კრების ლიდერის ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, „საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადება - 26 მაისის საქმის გამოძიების ფარგლებში „დემოკრატიული საქართველოს" ლიდერ ნინო ბურჯანაძისათვის გამოძიების მიერ კითხვების დასმასთან დაკავშირებით, არასწორი და არარეალურია და გაუგებარია თუ რატომ ხდება აქცენტის გაკეთება ნინო ბურჯანაძეზე, როდესაც 26 მაისის აქციის ორგანიზებას სახალხო კრების რამდენიმე ლიდერი უწევდა.

— ვისზედაც არ უნდა იყოს ლაპარაკი, თუ კი იმას დანაშაული ჩადენილი აქვს, პასუხი უნდა აგოს. ხოლო ამ დანაშაულის მიწებება ქალბატონ ნინო ბურჯანაძეზე მე არასწორად და არარეალურად მიმაჩნია, იმიტომ რომ ჩვენ გარდა კონსტიტუციური უფლებებისა რაც ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, ჩვენ არაფერი არ დაგვიშავებია, — განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა.

ირაკლი ბათიაშვილის თქმით, მისთვის გაუგებარია 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით რა ეპიზოდში შეიძლება გამოიხატოს ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხი.

— გაუგებარია, ცალკე რაში შეიძლება გამოიყოს ქალბატონი ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხი. რაც შეეხება 26 მაისის აქციას, ჩვენ ამ შემთხვევაში და ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მე მგონი დღეს არის დარწმუნებული, რომ ამ მოვლენამ უდიდესი როლი ითამაშა სიტუაციის გარდატეხაში. უდიდესი როლი ითამაშა იმ მანკიერი რეჟიმის რღვევაში, რომლისგანაც ჩვენ ბოლოს და ბოლოს გავთავისუფლდით 2012 წლის პირველ ოქტომბერს, — განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

ბურჯანაძესთან დაკავშირებით განცხადება 2 დღის წინ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმაც გააკეთა. 26 მაისის დარბევას პროკურატურა იძიებს. პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ჩვენება უკვე ნიცემული აქვს. კბილაშვილის განცხადებით, გამოძიებას ბურჯანაძესთან დაკავშირებით კითხვები არა აქვს.

ნაციონალები თავის დროზე ამტკიცებდნენ რომ სახალხო კრება 2011 წლის 26 მაისს გადატრიალებას ამზადებდა. თუმცა თუ ასე იყო საინტერესოა რატომ არ დაიჭირეს აქციის ორგანიზატორები.

გვიმტკიცებდნენ, რომ აქციის მონაწილეებს ლამის 20 ლიტრიანი ბოცებით ქონდათ თან მოლოტოვის კოქტეილი. არადა ვერავინ წარმოადგინა ეს კოქტეილი, ვერც ის რკინის ბურთულები გვაჩვენეს, რომლებიც სამართალდამცავებისთვის უნდა დაეშინათ.

26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილს უკვე დაუმძიმდა ბრალი. როგორც ამბობენ ამ საქმეზე კიდევ ბევრს მოუწევს ციხეში წასვლა. ის სისხლიანი ღამე კი კიდევ ბევრჯერ გახდება ხმაურიანი განცადებების მიზეზი.

რაც შეეხება სოსო ჯაჭვლიანს მას გაკეთებული განცხადების გამო შესაძლოა კოალიციაში პასუხი მოსთხოვონ. რამდენჯერმე გამოჩნდა რომ აქ განსხვავებულ აზრს არავის პატიობენ. ყველა თითქმის ერთ ხმაზე საუბრობს. განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე ბიძინა ივანიშვილს ეხება.

ჯაჭვლიანი კი ამ სტანდარტებში არ ჯდება. ცოტა ხნის წინ მან პარლამენტის თავმჯდომარესაც მოსთხოვა ბოდიშის მოხდა. რომელმაც თავის მხრივ დაიჩივლა, პარლამენტში მსახიობები აღარ მინდაო.

# „42 ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩა"

## ნაციონალები მეოცნებეებს 4 პუნქტიან რეკომენდაციას სთავაზობენ

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალებს მუშაობის და ქვეყანაზე ზრუნვის სურვილი ვერც გენერალური მდივნის დაჭერამ გაუქრო. ახალ ხელისუფლებას ისინი ყოველდღიურად აყრიან ქოქოლას, ამის პარალელურად, რიგ საკითხებში თანამშრომლობასაც სთავაზობენ.

რამდენიმე დღის წინ რუსების ქმედებების საწინააღმდეგოდ შესთავაზეს გაერთიანება. ახლა კი უმუშევრობის დასაძლევად გასცეს რეკომენდაციები.ახალი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის. რაც სრული სიმართლე ნამდვილად არ გახლავთ. ეს დემაგოგმა ნაციონალებმაც კარგად იციან. და ყველაფერს აკეთებენ რომ ეს ვითარება სათავისოდ გამოიყენონ. რამდენად აუჩუყებენ ხალხს გულს ვერ გეტყვით. მიუხედავად იმისა რომ მეოცნებეებმა ბევრს გაუცრუეს იმედი, ერი ნაციონალებს ჯერჯერობით არ მისტირის.

სამაგიეროდ ნაციონალები ტირიან ტანჯული ხალხის უბედურებაზე. გუშინ მათ უმუშევრობის დონის მატება გამოიტირეს. ერის ბედით შეწუხებულმა საპარლამენტო უმცირესობამ მთავრობას უმუშევრობის ზრდის ტემპის შემცირების მიზნით, ოთხ პუნქტიან რეკომენდაცია მისცა. ნაცმოძის განცხადებას „ახალი თაობა" უცვლელად გთავაზობთ.

— 4 ივნისს, საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა, გამოაქვეყნა დასაქმებასთან დაკავშირებული მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ მხოლოდ 2013 წლის პირველ კვარტალში სამსახური და, შესაბამისად, შემოსავალი, დაკარგა კერძო სექტორში დასაქმებულმა 42,000 მოქალაქემ. ამავე მონაცემების თანახმად, ქართული ბიზნეს სექტორის ბრუნვა შემცირდა 22 ხოლო საქართველოში წარმოებული პროდუქციის მოცულობა 26%-ით.

მოკლე დროში ეკონომიკის ასეთი სწრაფი ვარდნა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა უაღრესად საგანგაშო ტენდენციაა და მთავრობის მიერ სწორი ნაბიჯების არგადადგმის შემთხვევაში უფრო მეტი ჩვენი თანამოქალაქე დაკარგავს სამსახურს.

ეს არის ის, რის შესახებაც მთავრობას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აფრთხილებდა უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში. ნეგატიური ეკონომიკური ტენდენციების და უმუშევრობის ზრდის მთავარ მიზეზს წარმოადგენს მთავრობის ურთიერთგამომრიცხავი და არათანმიმდევრული რიტორიკა და პოლიტიკა ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში. ნაცვლად დაპირებული ახალი სამუშაო ადგილებისა და ახალი საწარმოებისა ჩვენ აღმავალი ტემპით ვკარგავთ არსებულ სამუშაო ადგილებს. რაც ყველაზე საგანგაშოა, სულ უფრო მეტი კვალიციფიური მუშა-მოსამსახურე რჩება სამსახურის გარეშე.

„ნაციონალური მოძრაობა", როგორც ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა, კიდევ ერთხელ სთავაზობს ხელისუფლებას გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან. აუცილებელია:

1. ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესის სტიმულირების მიზნით აუცილებელია მოხდეს გადასახადების შემცირება ისე როგორც ეს იყო დაგეგმილი საგადასახადო კოდექსში 2012 წლის დეკემბერში მიღებულ ცვლილებებამდე და მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს შრომის ბაზრის თავისუფლება;

2. სამუშაო ადგილებს ქმნის ბიზნესი. ამიტომ დაცულობისა და სტაბილურობის განცდა კერძო სექტორში მნიშნელოვანია დასაქმების ხელშეწყობისთვის. შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს 2 წლიანი მორატორიუმი ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ გარემოზე; საკანონმდებლო ორგანომ მიიღოს კანონი ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის ამნისტიისა და დაფარული გადასახადების ლეგალიზაციის შესახებ, რომელიც ჩადენილია 2013 წლის 1 იანვრამდე; მოხდეს ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის დეკრიმინალიზაცია; აიკრძალოს სასამართლოს ნებართვის გარეშე კერძო მფლობელობაში არსებული კომპანიების შემოწმება სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ;

3. დასაქმების ზრდა შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. ამისათვის კი აუცილებელია უზრუნველყოფილ უნდა იქნას ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნება, ხოლო, შესაძლებლობის შემთხვევაში, გაუმჯობესება, რათა მოხდეს მთავრობის სუვერენულ რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება;

4. წესებზე დაფუძნებული და პროგნოზირებადი ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნა მკვეთრ სტიმულს მისცემს სამუშაო ადგილების შექმნის პროცესს. ამიტომ, უნდა დაჩქარდეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან. ასევე აუცილებელია მთავრობამ მოახდინოს ძალისხმების კონცენტრაცია პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად აღებული პოლიტიკური ვალდებულების ხორცშესასხმელად, — ნათქვამია განცხადებაში.

# რასმუსენი ნატოში გველოდება

შორენა მარსაგიშვილი



**ვინ იცის უკვე რამდენი წელია გვეუბნებიან, რომ საქართველოსთვის ნატოს კარი ღიაა. ამ ღია კარში შესვლის უფლებას კი რატომღაც არავინ გვაძლევს. სამაგიეროდ, ქართული სამხედრო კონტინგენტი ნატოს სამშვიდობო მისიაში აქტიურად მონაწილეობს. ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისას უკვე 22 ჩვენებური დაიღუპა. ათეულობით სამხედრო დაიჭრა და დასახიჩრდა. ამის გამო ნატო ჩვენი მადლიერია. ალიანსში გაწევრიანებისთვის კი მადლობა არ კმარა.**

ჩვენს საზოგადოებას უკვე აღარ სჯერა რომ ნატოში შევალთ. ალიანსზე დღეს უკვე ხუმრობენ. ეტყობა ნატოს არ სურს, საბოლოოდ ჩავიქნიოთ მათზე ხელი და ამიტომაც ხანდახან იმედიან განცხადებებს მოგვაწევენ ხოლმე.

— მოუთმენლად ველი, როდესაც საქართველო ალიანსის წევრი გახდება, — ასეთი განცხადება გააკეთა ნატო–საქართველოს კომისიის სხდომაზე ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

კომისიის სხდომაზე რასმუსენმა განსაკუთრებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ავღანეთის და აისაფ-ის ოპერაციაში საქართველო აქტიურად მონაწილეობს. მისი თქმით, ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველო უმსხვილესი კონტრიბუტორია.

— ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების პროფესიონალიზმსა და სიმამაცეს, ასევე მწუხარებას გამოვხატავთ გაღებული მსხვერპლისთვის. მნიშვნელოვანია ის რეფორმებიც, რომელიც თავდაცვის სექტორში მიმდინარეობს, რაც ძალიან შთამბეჭდავია. ნატო საქართველოსთან რეფორმების განხორციელების პროცესში თანამშრომლობს, მოკავშირე ქვეყნები კი გამოხატავენ მზადყოფნას მხარი დაუჭირონ საქართველოს და მას საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ, — აღნიშნა ნატოს გენმდივანმა.

მადლიერმა რასმუსენმა პატარა მითითებებიც მოგვცა. მისი თქმით, ნატო საქართველოში მიმდინარე შიდა მოვლენებსაც ყურადღებით აკვირდება.

— ჩვენ ასევე, დიდი ინტერესით ვაკვირდებით საქართველოს ფარგლებში არსებულ გამოწვევებსა და განვითარების პროცესს. საქართველოს მთავრობას მოვუწოდებთ, პატივი სცეს კანონის უზენაესობას, ადამიანისა და ეროვნული უმცირესობების უფლებებს. ასევე, მოვუწოდებთ განახორციელოს ფუნდამენტური რეფორმები და ჩაატაროს თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის ბოლოს. ჩვენ ასევე, ურყევ მხარდაჭერას გამოვხატავთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ საზღვრებში. სტაბილური და დემოკრატიული საქართველოს ადგილი ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებაშია. მოუთმენლად ველი, როდესაც საქართველო ალიანსის წევრი გახდება. ნატოს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები კვლავ ძალაში რჩება. საქართველო გახდება ნატოს წევრი, როგორც კი გაწევრიანებისთვის შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, — განაცხადა რასმუსენმა.

ნატოს გენერალური მდივანი რუსეთის პრემიერ-მინისტრის, დიმიტრი მედვედევის განცხადებასაც გამოეხმაურა. მედვედევის თქმით, რუსეთი მის საზღვრებთან ნატოს გაფართოებას გულგრილად ვერ შეხვდება და აღნიშნავს, რომ ნატოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება არავის აქვს.

— მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არცერთ მესამე ქვეყანას ნატოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება არ აქვს. ამას თავად ნატო გადაწყვეტს, რომელსაც ერთი ძირითადი პრინციპი გააჩნია — ნებისმიერ ქვეყანას აქვს იმის უფლება, თავად აირჩიოს ის გაერთიანება, სადაც მას გაწევრიანება სურს, — აღნიშნა მან.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას რასმუსენმა ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებაზეც ისაუბრა. ნატოს გენმდივნის განცხადებით, ის რასაც რუსეთი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ახორციელებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა.

— კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებიტ, მე ერთმნიშვნელოვანი პასუხი მაქვს. ნებისმიერი მშენებლობის წამოწყება ამ რეგიონში, საერთაშორისო სამართლის ნორმაბისა და 2008 წლის შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს. გამყოფი ბარიერების აგებამ და გადაადგილების შეზღუდვამ, შესაძლებელია დაძაბულობა გამოიწვიოს. ეს კი მიუღებელია. ჩვენ რუსეთს ვთხოვთ, რომ მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები დაიცვას, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

# სააკაშვილი: „იმედია, უშიშროების საბჭოს შემდეგ სხდომას ივანიშვილი დაესწრება"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნას. შევთანხმდით, რომ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ჩვენი ელჩები სხვადასხვა სახელმწიფოებში და საჭიროების შემთხვევაში საკითხების განხილვაც მოხდება, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე თქმით, სხდომაზე საუბარი საოკუპაციო ხაზის საკითხსაც შეეხო.

— ვიდრე მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტი ჰქვია და ის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეა, ასეთი შეხვედრები აუცილებელია. ვიღაცისთვის შეიძლება ეს შეხვედრები სასიხარულოა, ვიღაცისთვის არასასიამოვნო, მაგრამ ჩვენ ქვეყნის მომავალზე ვაგებთ პასუხს, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი სხდომის ჩატარებას მიესალმა.

— მივესალმები იმ ფაქტს, რომ უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა. ჩვენი სურვილი იყო, რომ ეს სხდომა მანამდე გამართულიყო. ჩვენ განვიხილეთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად, როგორიც არის ქვეყნის უსაფრთხოება. ვთვლი, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანია და უნდა გაგრძელდეს, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## გენადი ონიშენკო: „საეჭვოა, ივნისში ქართული ღვინის ინსპექცია განვახორციელოთ“



როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელის და რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშენკოს განცხადებით, საეჭვოა, რომ საქართველოს ღვინის მწარმოებელი ქარხნების შემოწმება ამ თვეში განხორციელდეს.

„ჩვენ არ გვაქვს კომპანიების სია და არ მიგვიღია დოკუმენტაცია, რომელიც გამგზავრებამდე უნდა გავაანალიზოთ. სავარაუდოთ, ივნისში ინსპექციას ვერ განვახორციელებთ“ – განაცხადა ონიშენკომ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით კი, მათ ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების სია, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ბაზარზე შესასვლელად ინსპექციის გავლისთვის მზად არიან, რუსეთში უკვე გადაგზავნეს.

„სიაში ღვინის მწარმოებელ 20 კომპანიაზე მეტია, ასევე არიან ლუდის მწარმოებლები, რომლებმაც გასული ორი ინსპექციის დროს, თავისი ნიმუშების წარდგენა ვერ მოასწრეს“ – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს სააგენტოს ხელმძვანელმა ლევან დავითაშვილმა.

**ნიუსპრესი**

## შალვა ნათელაშვილი: „ჩემი არჩევის შემთხვევაში ამერიკასთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე ვიმუშავებთ“



საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი აშშ-ში ვიზიტს აგრძელებს.

ლეიბორისტული პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ნათელაშვილს სენატში და რამდენიმე უწყებაში ჰქონდა შეხვედრები. სენატში შეხვედრისას შალვა ნათელაშვილმა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე და მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ისაუბრა.

„ამერიკა სტრატეგიული სახელმწიფოა და ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ. ამერიკასთან ურთიერთობა მარტო ის არ არის, რომ ორ ქვეყანას შორის ელიტა მშვიდად და ბედნიერად მიდი-მოდიოდეს. ხალხისთვის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი ამერიკაში უვიზოდ უნდა ჩამოვიდეს, აქ მუშაობა უნდა შეეძლოს და ჩვენი დიპლომები ამერიკის მოქალაქეების დიპლომებთან უნდა იქნეს გათანაბრებული.

გპირდებით, ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ამ საკითხებზე მუშაობა ჩემი უპირველესი ამოცანა იქნება. ამისთვის ჩვენ გვყავს მეგობრები სენატში და ამერიკის პოლიტიკურ სპექტრში“ – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**ნიუსპრესი**

# სოლომონ პავლიაშვილი: „საქართველოში იაპონელი ინვესტორი არ შემოვა“

შორენა კოწოწაშვილი

**ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს ნებისმიერ ინვესტიციას ფართოდ უნდა გაუღოს კარი. მისი თქმით, დღეს ასარჩევად არა გვაქვს საქმე და არც რუსული ინვესტიციების ექსპანსიის არ უნდა გვეშინოდეს.**

**არის თუ არა ქვეყანაში ეკონომიკური კუთხით უკუსვლა და რა გზით უნდა მოახდინოს ხელისუფლებამ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, ეკონომიკურ ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილთან.**

***– ბატონო სოლომონ, საპარლამენტო ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაციაა, ინვესტიციები არ შემოდის და ხელისუფლება ამას მალავს. მართლაც, უკანსვლაა არჩევნების შემდგომ ეკონომიკის კუთხით?***

– არა, ამას ვერ ვიტყვით, რომ უკან წავიდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ჯერ, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ახალი მთავრობა სულ რამდენიმე თვის მოსულია. მეორეც, მთავრობის ჩანაცვლება თავისდაუნებურად იწვევს გარკვეულ წყვეტას. ეს ეკონომიკაშიც მოქმედებს, ისევე, როგორც პოლიტიკაში. გარკვეული ტრანსფორმაციული პერიოდია. ამას აქვს გარკვეული ობიექტური მიზეზები, ამიტომ ეს ხელისუფლებამ დროულად უნდა გაითავისოს და მთლიანად უნდა ჩაერთოს სახელმწიფოს მართვაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ დრო აღარ ითმენს იმისათვის, რომ ჩვენ რაღაც გადაბარებების რეჟიმში ვიყოთ ძველი მთავრობიდან ახალ მთავრობაზე. თუ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს გადავხედავთ, ერთი შეხედვით ეკონომიკურ ვარდნას ადგილი არ აქვს. ეკონომიკური ზრდის ტემპი, მით უმეტეს, მაისისთვის საკმაოდ მაღალია. ინფლაციის ზრდა შემცირდა, საგანგაშო არ არის. დასაქმების კუთხით იგივე ვითარებაა, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო. მაგრამ ზოგადად, ეკონომიკური გამოცოცხლება, რა თქმა უნდა, ვერ იგრძნობა. იგივე ინვესტიციების მოზიდვა, უძრავი ქონების რეალიზაცია – ეს პროცესები თითქოს, ერთის მხრივ, ნელი დინებით მიდის. ამაზე ხელისუფლებას დიდი სამუშაო ექნება ჩასატარებელი, არა მხოლოდ იმ კუთხით, რომ ეს განახორციელოს, არამედ სათანადო პიარიც რომ გაუკეთოს. ძალაუნებურად ხელისუფლების გარკვეულმა რადიკალურმა ქმედებებმა გამოიწვია ის, რომ ინვესტიციების შემოდინება გარკვეულწილად გაჩერებულია. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ ინვესტორები ფიქრობენ, რამდენად შეიძლება ამ ხელისუფლებასთან ურთიერთობა და რამდენად მაღალია საიმედოობა. ამას ინვესტორები თანდათან მიხვდებიან. პრემიერ-მინისტრი ბიზნესიდან არის მოსული და მან კარგად იცის, როგორი უნდა იყოს ინვესტიციების დაცულობის ხარისხი. ინვესტორები, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ქვეყნიდან იქნებიან, ძალიან მალე დაინახავენ ყველაფერს. ჩვენ გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით 2012-2013 წლის მონაცემებით, 77-ე ადგილზე ვართ. აქედან 131-ე ადგილზე ვართ 144 ქვეყანას შორის საკუთრების უფლების დაცულობის მხრივ. ეს არის საგანგაშო ციფრი. იგივე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხითაც ერთ-ერთ ბოლო, 129-ე ადგილზე ვართ. ეს პარამეტრები მსოფლიოს თვალში ხვდება. ამიტომ ყველა ფიქრობს, რომ რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი ხელისუფლება იმისათვის, რომ საინვესტიციო გარემო რეალურად საინტერესო იყოს და არა ჩვენ დავიწყოთ ინვესტიციების ჩხრეკა – როგორი ინვესტიცია შემოვა. ჩვენ ასარჩევად არა გვაქვს საქმე. ჩვენ უნდა მივიღოთ როგორც რუსული, ისე არაბული, ჩინური ინვესტიცია. მთავარია, ის არ მოქმედებდეს პოლიტიკურ ინტერესებზე. ის, რომ ვინმე იფიქრებს, პოლიტიკური ინტერესი ჩადოს ამ ინვესტიციებში, ამას ამ ეტაპზე გამოვრიცხავდი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რაც შეიძლება ფართოდ გავუღოთ კარი ყველა ინვესტიციას. მიუხედავად იმისა, ის ინვესტიცია როგორი წარმომავლობისაა. მთავარია, ეს ინვესტიცია საქართველოში შემოვიდეს და ჩვენი ქვეყნის აღორძინებას მოხმარდეს.

***– ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნები ინვესტორებს წილში უჯდებოდნენ ან ძალიან დიდი თანხებს სთხოვდნენ, რაც მათ აფრთხობდა. არაერთი ინვესტორ გავიდა ქვეყნიდან. ნაციონალები აქტიურად მუშაობენ ივანიშვილის მთავრობის დისკრედიტებაზე. ეს ინვესტორებს დააფრთხობს?***

– 7 მლრდ ინვესტიცია შემოვიდა გასული 8 წლის განმავლობაში. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, რეალურ მდგომარეობას თუ შევხედავთ, არ იგრძნობა ეკონომიკის ადეკვატური გაჯანსაღება. ახლა ობიექტურ კანონზომიერებას რომ გადავხედავთ, აქ მართლაც იყო ადგილობრივი ჩინოვნიკების ინტერესები. ამ ჩინოვნიკებმა შემდგომ ინვესტირება აღარ გააგრძელეს. რაღაც თვალთმაქცური გარემო იყო: ერთი მხრივ, რომ ინვესტირება გაზრდილიყო, მეორე მხრივ – ფაქტი იყო, რომ ინვესტორებზე ხდებოდა ზეწოლა. დრომ აჩვენა, რომ ჩვენგან გავიდნენ „კემპინსკი“, „ჰაიატი“ და ძალიან ბევრი სხვა. მოგეხსენებათ, რომ „ყაზმუნაი გაზს“, რომელსაც ნაყიდი



ჰქონდა თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია, ჯერ ყაზახური კომპანიის ჩამოცილება მოხდა, მერე მმართველ კომპანიას ადგილობრივები ჩაენაცვლნენ. იცით, რომ დაგეგმილი იყო დიდი ტერმინალის მშენებლობა ბათუმში, შემდგომ ამ მშენებლობაზეც უარი ითქვა. ბათუმის ტერმინალის მესაკუთრემ უარი თქვა მის საკუთრებაზე, შემდეგ მისი ჩანაცვლება მოხდა სხვა კომპანიით. ეს პროცესი აბსოლუტურად ყველა მიმართულებით იყო. ამ არასახარბიელო პროცესმა სხვადასხვა ეტაპზე იჩინა თავი. არა მარტო ადგილობრივ ბიზნესმენებზე იყო ზეწოლა, არამედ ინვესტორებზეც.

***– ინვესტორებთან საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ურთიერთობა გამოძიებულ უნდა იქნას?***

– ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, რათა ეკონომიკა სწრაფად განვითარდეს. გამოძიებამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. თუ დღეისათვის გაცხადებული ფაქტები გამოძიებას საჭიროებს, უნდა იქნას გამოძიებული. ფაქტია, რომ 7 მილიარდის ინვესტიციას გაცილებით მაღალი შედეგი უნდა მოყოლოდა. მხოლოდ ერთ – 2007 წელიწადში 2 მილიარდის ინვესტიცია შემოვიდა. ეს ძალიან დიდი თანხაა, როცა ბიუჯეტი გაქვს 6 მილიარდი. ობიექტური რეალობით დღეს სხვა დონის ეკონომიკა უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვერავის მინიშნებას ვერ მივცემთ. გამოძიება თავისი გზით უნდა წავიდეს. მნიშვნელოვანია მსოფლიო მასშტაბით ინვესტორებით ინფორმირება მოხდეს, რამდენად საინტერესო გახდა ქართული ეკონომიკური სივრცე, ქართული ბაზარი ინვესტიციებისთვის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იაპონელი ინვესტორი აქ არ შემოვა. ნაკლები შანსია. აქცენტი უნდა გავაკეთოთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, რუსეთზე, თურქეთზე, იგივე ისრაელზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი პარტნიორია სავაჭრო ურთიერთობების კუთხით. ამ და არაბულ ქვეყნებზე უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება.

***– რუსული კაპიტალის მასობრივად შემოდინება დღეს საშიში არ არის?***

– არა. ხდება დაბალანსება და კეთდება კოქტეილი. საქართველოში არსებობს რუსული კაპიტალიც, ევროპულიც და ამის დაბალანსება ხდება. ყველა სახის ინვესტიციას უნდა გავუხსნათ კარი, რომ ქართულ ეკონომიკას წინსვლა დაეტყოს.

***– მოდით, ვისაუბროთ ქონების ჩამორთმევის მტკივნეულ თემაზე, რაც სამართლიანობის აღდგენის პროცესში დიდ ინტერესს იწვევს. რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ და რისი იმედი უნდა ჰქონდეთ დაზარალებულებს?***

– ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა ითქვას და რაზეც ხელისუფლება უნდა გაუფრთხილდეს: არ შეიძლება ეს ვალდებულებები ხელისუფლებამ თავის თავზე აიღოს. ამ წართმეული ქონების კომპენსირებას ხელისუფლება თავის თავზე ვერ აიღებს. ეკონომიკური ბლოკის მინისტრებს უნდა ეყოთ გამბედაობა და ამის თაობაზე საჯაროდ განაცხადონ. ჩვენ უნდა გავმიჯნოთ სამართლებრივი დავის საკითხი და მისი კომპენსაცია. ამ კომპენსაციის თავის თავზე აღება სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს. რაც შეეხება სამართლებრივ საკითხებს, ამის მაპროვოცირებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო. პოლიტიკური ნება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს და რეაგირება უნდა დაიწყოს იმ საჩივრებზე, რომელთა რაოდენობა, როგორც ვიცი, 20 ათასამდეა. თითოეული ჩამორთმეული ქონების საკითხი ცალ-ცალკეა შესასწავლი. ეს ურთულესი პროცესია. არჩევნებამდე ვთქვი, რომ ეს იქნებოდა ერთ-ერთი ურთულესი საკითხი, რომელიც ახალ ხელისუფლებას დახვდებოდა. რა წინააღმდეგობას შეიძლება წავაწყდეთ? – ერთი: როცა ფიზიკურ პირს ჩამოართვეს ქონება და ჩამოართვა სახელმწიფომ. სახელმწიფომ ჯერ აჩუქებინა პირს ეს ქონება, შემდეგ გაიტანა აუქციონზე და გაყიდა. ანუ სახელმწიფომ მოახდინა მისი რეალიზაცია. მეორე: სახელმწიფოს ზეწოლით პირს ჩამოართვეს ქონება და გადაეცა სხვას, რომელიც იყო ჩინოვნიკის ნათესავი ან ახლობელი. აქ უფრო მარტივად არის საკითხი, თუ ეს ქონება კიდევ გადაყიდული არ არის და არ მოხდა პატიოსან მყიდველთა ქსელის ჩამოყალიბება. ნაციონალები ამის პროვოცირებას აკეთებდნენ. არაერთხელ არაერთ ბიზნესთან ითქვა, რომ ჯერ გააყიდინეს და მერე ხელახლა გადაყიდეს და გააჩინეს კეთილსინდისიერი მესაკუთრე. მესამე: როცა, ვთქვათ, შპს-ს ჰყავს რამდენიმე მეპატრონე და ისინი წერენ, რომ კიდევ საჭიროა ახალი მეპატრონე. ეს სულ სხვა დავის საკითხია. ანალიზს რომ ვაკვირდები, ბევრმა ისეთმა ადამიანმა გააკეთა განცხადება, ვინც მართლა გაყიდა ქონება. დღეს ისინი ამბობენ, რომ ისინი აიძულეს იაფად გაეყიდათ. იგივე რუსთავი 2-ის მეპატრონემ თქვა, მე კი გავყიდე ქონება, მაგრამ კიწმარიშვილმა დაბალ ფასში გამაყიდინაო. ესეც გასარკვევია, რამდენად რეალურ ფასად და რეალურად გაიყიდა ქონებები. ილუზიაა, რომ მარტივად მოხდება ამ ქონებების დაბრუნება. წინა ხელისუფლების დროს წართმეული ქონებების სხვადასხვა ციფრი სახელდება. ზოგი 7 მილიონს ამბობს, ზოგი 200 მილიონს. ცალსახაა მხოლოდ ის, რომ ეს ქონება უკანონოდ არის ჩამორთმეული. როგორ შეიძლება ამდენ ადამიანს ერთდროულად გაუჩნდეს სურვილი, რომ სახელმწიფოს ქონება აჩუქოს. ეს ყველაფერი შეკერილი საქმეებია. თუ იქიდან ამოვალთ, რომ არასწორად შეძენილი ქონებები იყო, ეს უკვე სხვა საქმეა. არ შეიძლება აპრიორი წაართვა და უთხრა: არასწორად გქონდა შეძენილიო. ამ ყველაფრიდან ერთ პრინციპზე ამოვდივარ – არ შეიძლება ამ ყველაფრის კომპენსირება თავის თავზე აიღოს, ისე, როგორც თავის დროზე სახელმწიფომ აიღო 502 მილიონის ანაბრების კომპენსირების ვალდებულება. ეს თემა დღემდე სახელმწიფოზეა ჩამოკიდებული.

***– საბჭოთა ანაბრებს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ შეხვედრაზე ვთქვი კიდეც: ნეტა ის 502 მლნ დააბრუნოს, რომელიც სახელმწიფომ ვალად აიღოს. კიდევ ამ თანხის გადაანგარიშება პროცენტულად, გამორიცხულია ბიუჯეტმა ეს თანხები გაიღოს. ზოგი ფიქრობს, ეს თანხები აქციების სახით დაბრუნდეს. ესეც გამორიცხულია. აქციების მეორადი ბაზარი არ არსებობს. როგორ გინდა ეს თანხა იყოს ზუსტად იმ აქციის შესაბამისი, რომელიც მათ ანაბრების სახით ჰქონდათ. კომპენსაცია უნდა მოხდეს იმ თანხით – 502 მილიონით რაც განსაზღვრულია. ამ ანაბრების მესაკუთრეთა შეიძლება 5%-იც არ იყოს ცოცხალი, როცა ამ თანხების დაბრუნება მოხდება. ვფიქრობ, ეს თემა უნდა დაჩქარდეს. ვფიქრობ, ბიუჯეტს აქვს ამის საშუალება, თუ ყოველწლიურად 50 მილიონის გაცემა განისაზღვრება საბჭოთა ანაბრებზე. ვიმეორებ, ვინც ფიქრობს, რომ ჩამორთმეული ქონება სახელმწიფომ საგადასახადო ვალდებულებით უნდა გაუსტუმროს, ეს გამორიცხულია.

***– თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ თავად მაღალჩინოსნებმა ზღონ პირადი ქონებით უკანონოდ ჩამორთმეული ქონებები.***

– კი, ამაზეც უნდა იყოს მუშაობა. უნდა მოხდეს შესწავლა, რომელი უწყებიდან მოდიოდა ეს, ვინ იყო ამაში ჩართული და კონკრეტულ პიროვნებებზე უნდა გადიოდნენ. პასუხი იმათაც უნდა მოეთხოვოთ, ვინც შემდეგ ამ ქონების გადაყიდვაში იყო ჩართული. ამას საკითხის ღრმა ცოდნა სჭირდება.

***– რას იტყვით რუსეთთან მიმართებაში. ფაქტია, ივანიშვილის მთავრობის ლოიალური ტონი და რუსეთში ბორჯომის შეტანა არ აღმოჩნდა საოკუპაციო ზოლის გადმოწევის შემაფერხებელი ფაქტორი.***

– ზოგი ამბობს, ეკონომიკა და პოლიტიკა არ გაიმიჯნებაო, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ რუსეთის ბაზარი საქართველოს ეკონომიკისთვის იყოს გამოყენებული. როგორ ფიქრობთ, რუსეთი საზღვრებს ისე არ დაეჯახებოდა? რუსები თავისი ზრახვების შესაბამისად მოქმედებენ. თუმცა ჩვენ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის ინტერესი მაინც უნდა გვქონდეს. ეს მარტო ღვინოს და ბორჯომს არ ეხება. შეგვიძლია რუსეთიდან უამრავი საქონლის იმპორტი განვახორციელოთ. 300 მილიონიანი ბაზარი გქონდეს გვერდით და ამაზე უარი თქვა? თუმცა არ შეიძლება ამის გამო პოლიტიკური ინტერესები დათმო. ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენამ შესაძლოა ურთიერთობები რაღაც დოზით დაათბოს. ვერც ვერავინ დაგავალდებულებს ამის გამო ტერიტორიები დათმო. მეორე მხრივ, რა ხდება – ჩაკეტილი ხარ სივრცეში და რას ელოდები, განცხადებების იმედად ხარ? გააკეთე განცხადებები და ეკონომიკური ინტერესებითაც იმოქმედე. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. შეიძლება ეს გახსნილი ბაზარი რუსეთმა დაგიკეტოს. წარმოგიდგენია, ამდენი შესული ღვინო მასალა, გაწეული სამუშაო, ეს უნდა გათვალონ ჩვენმა მეღვინეებმაც. განა რუსეთის ბაზრის დახურვის საშიშროებას ვერ ვხედავ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსულ ბაზარზე უარი ვთქვათ. სამწუხაროდ, ჩვენ ალტერნატივა ვერ გავაჩინეთ. ყურძნის ფასი უნდა გაიზარდოს. არ შეიძლება მუდმივად სახელმწიფო დებდეს სუბსიდიას ყურძნის ფასში და გლეხი ამის მოლოდინში იყოს. ეს შეიძლება ერთხელ ან ორჯერ გააკეთო. ვერ გავა ბაზარზე ჩვენი პროდუქცია თუ შენ ხელი არ შეუწყვე. რუსეთის ბაზარზე ორიენტაციის აღება, ალტერნატივის გაჩენაზე უარის თქმას არ ნიშნავს. მეტსაც გეტყვით, რუსეთიდან ინვესტიციები უნდა შემოვიტანოთ, ბევრი ქართველია იქ წასული. ეს ექსპანსიას არ ნიშნავს. ჯერ ერთი, ამდენ ინვესტიციას არავინ ჩადებს, რომ შენი ექსპანსია მოახდინოს. მეორე მხრივ, ზოგს ჰგონია, თუ რუსებს შემოუშვებ, შემოვარდებიან. ასე მარტივად არ არის საქმე.

# შრომის კოდექსის გაპროტესტებისთვის სამსახურიდან დათხოვნილები სამართალს ეძებენ

**მიბაძავს თუ არა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განათლების სამინისტროს და შექმნის თუ არა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლებულების საკითხის შემსწავლელ კომისიას, ჯერჯერობით უცნობია. გუშინ, ჯანდაცვის სამინისტროსთან იმ ადამიანთა მცირე ჯგუფი შეიკრიბა, რომლებიც საკუთარ თავს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულებად მიიჩნევენ არა არჩევნების პერიოდში, არამედ გაცილებით ადრე, 2005 წლიდან. მათ ადვოკატირებას კი „ახალგაზრდა ადვოკატები“ უწევენ და სამინისტროს წინ აქციაც ერთად გამართეს. სხვათა შორის, პოლიტშეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის კომისიის შექმნის რეკომენდაცია სამინისტროს სახალხო დამცველმაც მისცა. საქმე ეხება სამინისტროს შრომის და დასაქმების პოლიტიკის ყოფილი დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურიდან 2005 წელს, მინისტრის ბრძანებით, განსხვავებული შეხედულების გამო, საქართველოს პრეზიდენტისადმი უწყებაში არსებული პრობლემების შესახებ გაგზავნილი წერილის შედეგად გათავისუფლდნენ.**

მერი ნამორაძე, გულიკო ბალაძე

2005 წლის 16 დეკემბერს ჯერ მინისტრის სახელზე, 19 დეკემბერს პრეზიდენტის, პრემიერის და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ კოლექტიურ წერილში მსჯელობა ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა შრომისა და დასაქმების სფეროს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა. მაშინდელმა მინისტრმა, ლადო ჭიპაშვილმა, თანამშრომელთა განთავისუფლების ბრძანება წერილის ხელისუფლების პირველი პირებისათვის გაგზავნის დღეს მიიღო. სამინისტროს თანამშრომლებს გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია 20 დეკემბერს, სამსახურში გამოცხადების შემდეგ აცნობეს.

ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად შეფასდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პირდაპირ შეზღუდვად. ამასთან, დარღვეულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებიც, რის გამოც გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა სასამართლოს ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართეს. სამინისტრომ სასამართლო წესით დავის გასაჯაროების შემდეგ დაუსაბუთებელი მოქმედებების ლეგიტიმაციას მიმართა და მინისტრმა, უკვე ახალი ბრძანებით, ბათილად ცნო მის მიერვე მიღებული ბრძანება თანამშრომელთა გათავისუფლების შესახებ და იმავდროულად მიიღო კიდევ ერთი ბრძანება, რიმლითაც აღნიშნული თანამშრომლები დაკავებული პოზიციიდან გაათავისუფლა უკვე რეორგანიზაციის საფუძვლით.

მინისტრის გადაწყვეტილებით, თანამდებობა შეინარჩუნა იმჟამად შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის იმ სამმა თანამშრომელმა, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს კოლეგების მიერ მომზადებულ კოლექტიურ წერილს. მოგვიანებით გაუქმდა შრომისა და დასაქმების პოლოტიკის დეპარტამენტიც.

როგორც „ახალგაზრდა ადვოკატების“ წევრმა, არჩილ კაიკაციშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, 2013 წლის მარტიდან ორგანიზაცია ახორციელებს პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებული მოქალაქეების საქმის საზოგადოებრივ მონიტორინგს.

**არჩილ კაიკაციშვილი:**

– დღეს ჩვენ ოფიციალური წერილით მივმართავთ ბატონ მინისტრს, რათა გავიგოთ, რატომ არ სრულდება სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც ამ ადამიანთა საქმეზე უნდა შექმნილიყო სპეციალური კომისია. 2013 წლის 22 მაისს სახალხო დამცველმა მიიღო სპეციალური რეკომენდაცია. ეს იმთავითვე ეცნობა სამინისტროს, მაგრამ დღემდე არანაირი რეაგირება! ჩვენ გვაინტერესებს, როდემდე შეიძლება ოფიციალური დასკვნების მიმართ წაყრუება. როდემდე შეიძლება სამინისტრომ არ გაიზიაროს ყველაზე მაღალი ინსტიტუტის, სახალხო დამცველის წინადადება, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით აღდგეს სამართლიანობა, შეიქმნას სპეციალური კომისია და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება.

მომზადებულია სერიოზული დასკვნა, რომელსაც წინ უძღოდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის იმავე შინაარსის წერილიც. სამინისტრო დღემდე დუმს. საქმე ეხება უპრეცედენტო ფაქტს, როცა მინისტრმა (იგულისხმება ლ.ჭიპაშვილი) ერთ დღეს მიიღო დეპარტამენტის გაუქმების გადაწყვეტილება და იმის გამო, რომ თანამშრომლებმა თავის დროზე გააპროტესტეს სამინისტროში მიმდინარე შრომითი ურთიერთობების მახინჯი სისტემა და პრაქტიკა, მიიღეს მათი გათავისუფლების გადაწყვეტილება.

***– კონკრეტულად რა პოზიციაზე იყვნენ დასაქმებულები ეს ადამიანები?***

– ეს არის შრომის ინსპექცის დეპარტამენტი.

***– თავის დროზე შრომის ინსპექციის მიმართ დიდი პრეტენზიები არსებობდა დამსაქმებელთა მხრიდან!***

– არსებობდა. ამათ შეიმუშავეს სქემა, ამ ინსტიტუტის რეფორმირების და როგორ თუ შეიმუშავეო, ამის გამო გაათავისუფლეს. დისკრიმინაციის საფუძველზე გათავისუფლებული თანამშრომლების მოთხოვნა, სამართლიანობა აღდგეს მათ საქმეზე, ლეგიტიმური და კანონიერია. სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებასთან ერთად უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია და მომზადდეს დასკვნა 2005 წლის დეკემბერში მომხდარი კოლექტიური გათავისუფლებისა და დეპარტამენტების გაუქმების საფუძვლების შესახებ. ამის ვალდებულებას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ 2013 წლის 28 იანვარს მომზადებული წერილიც იძლევა, რა დროსაც კომიტეტი სამინისტროს გათავისუფლებული თანამშრომლების მიმართ შესაბამისი ზომების მიღებას და დახმარების აღმოჩენას ავალდებულებს.

„ახალი თაობა“ სამსახურიდან გათავისუფლებულებს გაესაუბრა:

მაია შამუგია: – თავის დროზე ჯანდაცვის სამინისტრომ ორჯერ უკანონოდ გაგვათავისუფლა. რაში გამოიხატებოდა ეს, გეტყვით: ჩვენ პეტიციით მივმართეთ პრეზიდენტს და ვითხოვდით შრომის კოდექსის იმ სახით არმიღებას, რა სახითაც მერე მიიღეს. ეს იყო შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი. თან ჩვენ ახალი გავლილი გვქონდა კონკურსი. კონკურსგავლილები ერთ დღეში გაგვათავისუფლა მინისტრმა, რადგან პეტიციით მივმართეთ პრეზიდენტს და პრეტენზია გვქონდა შრომის კოდექსთან. შემდეგ მივმართეთ სასამართლოს, სამი ინსტანცია გავიარეთ და არც ერთმა არ გაგვამართლა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ იმედი გაგვიჩნდა.

ამ წლების განმავლობაში ეს სამსახური არ არსებობდა. ანუ დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი არ არსებობდა. ახლა მიმდინარეობს სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება ჯანდაცვის სამინისტროში. ჩვენ ვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას. ჩვენი გათავისუფლება იყო უკანონო. მივმართეთ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, ქალბატონ ეკა ბესელიას, საიდანაც პასუხად მივიღეთ, რომ კომისია უნდა შექმნილიყო ჯანდაცვის სამინისტროში. სამინისტროში გვითხრეს, რომ ჩვენ ხელახლა უნდა გავიაროთ კონკურსი. ჩვენ კონკურსში კი არ გვინდა მონაწილეობის მიღება, გვინდა კომისია, რადგან სასამართლოსთვის მიმართვის საშუალება არ გაგვაჩნია, რომ აღდგეს სამართლიანობა. ომბუდსმენმაც რეკომენდაციით მიმართა სამინისტროს, რომ კომისია შექმნილიყო, რაზეც ფაქტიურად უარს გვეუბნება ჯანდაცვის სამინისტრო.



***– რამდენი ადამიანი გათავისუფლდა მაშინ?***

– მაშინ გათავისუფლდა 24 ადამიანი. ახლა ვართ მხოლოდ 4 ადამიანი, რომლებიც ვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას.

***– დანარჩენებს არ სურთ სამართლიანობის აღდგენა?***

–- ზოგს საპენსიო ასაკი ჰქონდა, ზოგმა სამსახური იშოვა, ზოგი გარდაიცვალა.

ცისანა ბაკურაძე:

– ჩვენ კონკურსის წესით დავინიშნეთ 2005 წლის აგვისტოს თვეში და 3-4 თვეში გავთავისუფლდით სრულიად უსამართლოდ იმის გამო, რომ პროტესტი გამოვთქვით მონური შრომის კოდექსის თაობაზე. ახალი ხელისუფლების იმედი გვაქვს და ვფიქრობთ, რომ ჯანდაცვის სამინისტრო განიხილავს და გაითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებიც გვაქვს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისგან და სახალხო დამცველისგან, – აღნიშნა ბაკურაძემ.

დაზარალებული მოქალაქეების შეფასებით, სამინისტროში შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის, ასევე შრომის ინსპექციის გაუქმებით, სახელმწიფომ შრომის კანონმდებლობის დაცვის კონტროლზე უარი თქვა. ამასთან, 2006-2007 წლებში განხორციელებულმა საკადრო პოლიტიკამ მთლიანად წარმოაჩინა ნეპოტიზმისა საკითხი. ყოფილი დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები მიუთითებენ, რომ მათ გავლილი აქვთ ყველა კონკურსი და მიღებული აქვთ მაღალი შეფასება, თუმცა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არც ამჟამად გამოხატავს დაინტერესებას, აღდგეს სამართლიანობა უკანონო გათავისუფლების ფაქტზე.

აქციის მონაწილეებს გუშინვე უპასუხა სამინისტრომ. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე კახა საკანდელიძე არ მიიჩნევს საჭიროდ სპეციალური კომისიის შექმნას, რადგან ივლისის თვეში სამინისტრო კონკურსს აცხადებს ვაკანტურ ადგილებზე და ყველა გათავისუფლებულ თანამშრომელს მასში მონაწილეობის მიღება შეეძლება.

## 97 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი: 1967 წელს დაბადებული მირიან ლ., 1989 წელს დაბადებული შავლეგ ფ. და 1968 წელს დაბადებული მიხეილ ა. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამტრედიის რაიონის სოფელ მიწაბოგირაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მიხეილი გ. და მასთან ერთად მყოფი მირიან ლ. დააკავეს. მირიან ლ-ს პირადი ჩხრეკისას – 14 აბი, მიხეილ გ-ს პირადი ჩხრეკისას 3 აბი და 2 ნატეხი, ხოლო მისი სახლის ჩხრეკისას 30 აბი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“-ს შემცველი პრეპარატი „სუბოქსინი“ ამოიღეს.

დანაშაულში ბრალდებული მესამე პირი სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე დააკავეს. შავლეგ ფ-ს პირადი ჩხრეკისას 50 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღეს. გამოძიება მირიან ლ-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო შავლეგ ფ-სა და მიხეილ გ-ს მიმართ, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი მომხდარიდან ნახევარ საათში გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მე-2 სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1978 წელს დაბადებული ივანე კ, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გოჩა მ. და 1985 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ლაშა ტ., ყაჩაღობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულები გურჯაანში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, გაზ-გასამართ სადგურზე შეიჭრნენ, ოპერატორებს თანხა გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში, მომხდარიდან ნახევარ საათში დააკავეს. გატაცებული თანხა ნივთმტკიცებად სრულად ამოიღეს. გამოძიება ჯგუფური ყაჩაღობის ფაქტზე სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 7-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ის კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

## მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი ორი პირი: 1996 წელს დაბადებული პავლე ბ. და 1988 წელს დაბადებული ზურაბ კ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 5 ივნისს, გამთენიისას,ზესტაფონში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ვახტანგ ოსაძეს ბლაგვი საგნით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაშავებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული ცხელ კვალზე, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილთან ახლოს დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სსსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

## საქართველოში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ, მაისის თვის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.

მონაცემების თანახმად, 2013 წლის მაისის თვე 406 553 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 25,3 %-ით მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-მაისის ინტერვალს, დასახელებულ შუალედში ჯამურმა რაოდენობამ 1 698 146 ვიზიტი შეადგინა, რაც 31%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

ვიზიტთაგან – 625 257 ტურისტი ვიზიტი (საერთო რაოდენობის 37%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 26,2%), – 295 055 სატრანზიტო ვიზიტი (საერთო რაოდენობის 17%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 58%), ხოლო – 777 834 სხვა დანიშნულების ვიზიტი (საერთო რაოდენობის 46%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 26%) იყო. ქვეყნების მიხედვით სტატისტიკის თანახმად კი, 2013 წლის მაისში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+1%), აზერბაიჯანიდან (+11.2%), სომხეთიდან (+61.5%), რუსეთიდან (+76.3%), უკრაინიდან (+123%) და ირანიდან (+7.4%) განხორციელდა.

ასევე, გარკვეული ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით მაისში გამოირჩევიან პოლონეთის (83%), შუა აზიის ქვეყნებიდან – უზბეკეთისა და ყაზახეთის (შესაბამისად 41% და 38%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსიის მოქალაქეები – 50% -იანი მატებით.

**ნიუსპრესი**

## ზაზა ხატიაშვილი: „ციხეებში პატიმართა წამებაში მონაწილე პირები პატიმრებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენ“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში, ხვალ ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი პრესკონფერენციას გამართავს და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამებაში მონაწილე პირების მიერ, პატიმრებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით ისაუბრებს.



ასოციაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მსჯავრდებული შალვა ლილუაშვილის განცხადებით, ის ადვოკატ კახაბერ მუმლაძის დახმარებით ამზადებდა საჩივარს გამოძიების დროს მის საქმეში მტკიცებულებათა გაყალბების და მის მიმართ განხორციელებული ცემის, წამების და არაადამიანური მოპყრობის გამო.

წამების დროს მსჯავრდებულს კბილები ჩაუმტვრიეს და ცხვირის ძგიდე გაუტეხეს.

ასოციაციის ინფორმაციით, აღნიშნული მოვლენების შესახებ საჩივრის მომზადების გამო, მას გამომძიებელი მერაბ ანჯაფარიძე დაემუქრა.

„სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვლავ შედიან პატიმართა წამებაში მონაწილე პირები, რომლებიც პატიმრებზე ახორციელებენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და თანამდებობას ბოროტად იყენებენ“ – აცხადებენ ასოციაციაში.

**ნიუსპრესი**

# მოგვარდა თუ არა მაღაროელთა პრობლემები

როლანდ ხოჯანაშვილი

ჭიათურაში სულ ორი ,,მეხდასაცემი“ შენობაა, ასე თვლიან ჭიათურელები. ერთი გამგეობის შენობაა და მეორე ე.წ. ტრესტი. რადგან მუნიციპალიტეტის ძირითად სიმდიდრეზე (მანგანუმის საბადოებსა და მის რეწვაზე) ვერანაირ ბერკეტს ვერ ფლობს გამგეობა, ხალხს აღიზიანებს გამგეობის უუფლებობა და რაც შეეხება ,,ტრესტს“, ამ შემთხვევაში 100 ზემოიმერელიდან 90 მაინც იმას იტყვის, რომ მეხდასაცემზე მეტიცაა ეს შენობა, რადგან: ,,აქ რომ არ იჭმებოდეს ჭიათურის სიმდიდრე, ქალაქში ოქროს ხიდები უნდა იყოს გადებული“. წარმოება, რომელიც კომუნისტურ ეპოქამდეც არსებობდა და მის შემდეგაც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ,,გემრიელ“ ლუკმად ქართულ ეკონომიკაში, უმეტესობის აზრით, ჩრდილოვანია.

გასული თვის 25 მაისს რამდენიმე მედიასაშუალებამ განაცხადა, რომ ჭიათურის მაღაროელები გაიფიცნენ, თუმცა ამდაგვარი ვერაფერი დავინახე, მიუხედავად იმისა, რომ პირადი დაკვირვების ქვეშ მყავდა საჩხერე-ჭიათურის მუნიციპალიტეტები. 28 მაისს ისევ იყო მცდელობა, რომ მასშტაბური გაფიცვა დაიწყებულიყო, თუმცა კოორდინაცია ვერ შეძლეს რამდენიმე ათეულმა ადამიანმა და სოციალური მოტივით დაანონსებული გაფიცვა მორიგი ბლეფი აღმოჩნდა.

რამდენიმე კითხვით ,,ახალმა თაობამ“ მიმართა ჭიათურის მანგანუმის 100 %-იან მფლობელ ,,ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, მაკა კვარაცხელიას.

***— თუ არ ვცდები, მარტში ,,ჯორჯიან მანგანეზი“ ისევ გაიყიდა, მაგრამ მენეჯმენტში ცვლილება არ ჩანს, უბრალოდ, სახელის ცვლილებასთან გვაქვს საქმე?***

— მხოლოდ სახელის ცვლილებასთან საქმე ნამდვილად არ გვაქვს. 2012 წლის დასაწყისიდან „ჯორჯიან მანგანეზის“ მართვა იკისრა „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზმა“. ეს არის მსხვილი ამერიკული კომპანია, რომელიც არამარტო ფლობს და მართავს ფეროშენადნობთა მწარმოებელ რამდენიმე ქარხანას ამერიკაში, არამედ, გარდა ამისა, თავისი სავაჭრო განშტოების მეშვეობით უზრუნველყოფს ამერიკის ფეროშენადნობთა ბაზრის მოთხოვნილების მსხვილ ნაწილს. იმ დროიდან მოყოლებული „ჯორჯიან მანგანეზის“ ხელმძღვანელობა დაკომპლექტდა ქართველი პროფესიონალებით, რომლებიც დღესაც აგრძელებენ კომპანიაში მუშაობას. მართვიდან ერთი წლის თავზე, 2013 წლის აპრილში „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზმა“ სრულად შეიძინა შპს „ჯორჯიან მანგანეზისა“ და „ვარციხე 2005-ის“ წილი, რის შემდეგაც იგი გახდა ქართული საწარმოების არამარტო მმართველი, არამედ 100%-იანი მესაკუთრეც. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ქართულ ბაზარს დაემატა ერთ-ერთი მსხვილი ამერიკული ინვესტიცია.



***— ამჯერად არ ვისაუბროთ ვარციხჰესთან და ფეროშენადნობთა ქარხანასთან დაკავშირებით. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა საუკუნეზე მეტი ისტორიისა. გაკოტრების მმართველისგან გაყიდული ,,ჭიათურმანგანუმის“ გასხვისება როგორ მოხდა და არსებობს თუ არა რაიმე დოკუმენტი, რომელიც გვაჩვენებს, რომ ,,ჯორჯიან მანგნეზმა“ წესების დარღვევის გარეშე შეიძინა სამთომოპოვებითი წარმოების ფლაგმანი?***

— რასაკვირველია, არსებობს კონკრეტული ხელშეკრულება, რომლიც სათანადოდ არის გაფორმებული და ნოტარიზებული. გაუგებარია, რა წესების დარღვევა გაქვთ მხედველობაში. ასეთი ბრალდების უსაფუძვლოდ გაჟღერება მიუღებლად მიგვაჩნია. შეგისწორებთ: „ჯორჯიან მანგანეზმა“ „ჭიათურმანგანუმისაგან“ შეიძინა ქონება (აქტივები) და არა კომპანიის წილი. ამიტომაც არასწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ჭიათურმანგანუმის“ გასხვისებას ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ „ჯორჯიან მანგანეზმა“ დამოუკიდებლად მოიპოვა მადნის მოპოვების ლიცენზია და რეალურად დააკავშირა მადნის მოპოვება და მისი შემდგომი გადამუშავება ერთიან პროცესში, რაც სწორი და გეგმაზომიერი ეკონომიკური პოლიტიკის ნიშანია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვარციხეჰესი, ჭიათურის საბადო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ერთიანი საწამოო პროცესის კომპონენტებია. ისინი ყოველთვის ერთობლივად მოიაზრებოდნენ და ახლაც მათი ცალ-ცალკე ფუნქციონირება ძნელი წარმოსადგენია. ზესტაფონის ქარხანაც და ვარციხეჰესის კასკადიც სწორედ იმისათვის აშენდა, რომ ჭიათურაში მოპოვებული ნედლეულიდან წარმოებული მაღალი ხარისხის საქონელი გატანილიყო მსოფლიო ბაზარზე.

***— ეკოლოგიური პრობლემების თვალსაზრისით ჭიათურა ერთ-ერთი ,,ლიდერი“ ქალაქია. წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ყველაფერი დაბინძურებულია, თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს ეკოპრობლემების შესამცირებლად? გასაგებია, რომ მრეწველობა გულისხმობს ეკოპრობლემების წარმოშობას, მაგრამ მაინც...***

— ჩვენი კომპანია ეკოლოგიურ საკითხებს იმდენსავე ყურადღებას უთმობს, რამდენსაც საწარმოო ციკლში შემავალ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს. ამ მიზნით ჩვენთან მუშაობს ცალკე სამსახური, რომლის ძალისხმევის შედეგიცაა ის, რომ ჩვენ საკუთარი ინივიატივით საფუძველი ჩავუყარეთ რეკულტივაციის პროცესს ჭიათურაში. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: საცდელი პროექტის ფარგლებში ღია კარიერი ხელახლა გადაიფარა ნაყოფიერი ნიადაგით, რომელზედაც გაშენდა 1000 ძირი აკაციის ნერგი, რომლებმაც უკვე იხარეს და მომავალში მოხსნილი მიწის ნაცვლად იქ გამწვანებული ტერიტორია დაგვხვდება. ეს პროცესი უწყვეტია და პროექტის მიხედვით მიმდინარეობს ამ ტერიტორიების განაშენიენება. გარდა ამისა, 2013 წელს შენდება ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც დახურული ციკლით მუშაობს, შესაბამისად მდინარე ყვირილას დაბინძურების პრობლემაც გადაიჭრება.

***— სოციალური პაკეტებიდან ყველაზე მეტად ჭიათურელი მაღაროელები წუხან იმას, რომ სამედიცინო დაზღვევის სერვისი შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ზესტაფონში. ჭიათურაში ამის შესაძლებლობა უკვე აღარ არის, ე.წ. ტრესტის საავადმყოფო გაუქმებულია, ხოლო ,,ჯეოჰოსპიტალსის“ ტევადობა სასაცილოცაა და სატირალიც. გეგმავს ,,ჯორჯიანმანგანეზის“ მონაცვლე რაიმე პოზიტიურს ამ კუთხით?***

— თქვენთვის ცნობილია, რომ კომპანიის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან საოჯახო სადაზღვევო პაკეტით, რაც გულისხმობს თანამშრომლის, მისის მეუღლისა და შვილების დაზღვევას, ამასთანავე შვილთა ასაკი შეუზღუდავია. რეალურად კომპანია 15 000 ადამიანის დაზღვევას იხდის. თქვენს მიერ აღნიშნული პრობლემა არსებობს, რომლის გადასაჭრელად კომპანია აქტიურად მუშაობს მზღვეველ კომპანიასთან. იმედი გვაქვს, რომ ამ პრობლემას მალე გადავჭრით.

***— ე.წ. ,,პაიოკის“ საკითხი გამოსწორებულია, მაგრამ სანიტარულ-ჰიგიენური და ანაზღაურების საკითხი კვლავ მაღაროელთა უკმაყოფილების მიზეზია. მაღაროელები აცხადებენ, რომ ხელმძღვანელობას ასტრონომიული ხელფასები აქვთ, ხოლო მათ კაპიკები. რას გვეტყოდით ამ საკითხზე?***

— ამ საკითხთან დაკავშირებით მე ვერ დაგეთანხმებით. გარდა მშრალი ულუფებისა სანიტარულ-ჰიგიენური საკითხი გადაჭრილია, თქვენ შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ნახოთ თუ როგორი მდგომარეობაა. მაღაროელების აბანო-გასახდელები თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებითაა გაკეთებული და როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ჩვენი თანამშრომლები კმაყოფილნი არიან იმ რემონტით, რომელიც გაკეთდა ბოლო პერიოდში. რაც შეეხება ხელფასებს, სტატისტიკურად ჩვენი თანამშრომლების სახელფასო მაჩვენებელი ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში.

# საპარტნიორო ფონდმა სოფლის მეურნეობის დარგში მასშტაბური პროექტი განახორციელა

## ღორის ხორცის ბაზრის 15% -მდე ეკოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქციით შეივსება

საპარტნიორო ფონდმა ქართულ საბანკო სექტორთან და კერძო ინვესტორთან თანამშრომლობის შედეგად სოფლის მეურნეობის დარგში პირველი მასშტაბური პროექტი დაასრულა, რომელიც თავისი შინაარსით უნიკალურია და სახელმწიფოს, საბანკო სექტორის და მეწარმეთა თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს.

კომპანია „გეო აგროს“ შვილობილი კომპანიის, შპს „კალანდას“ მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელება 2011 წლის ბოლოს დაიწყო და მისმა სრულმა საინვესტიციო ღირებულებამ 10 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საკუთრივ კომპლექსის მშენებლობა დაიწყო 2012 წლის ივნისში. პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღეს საპარტნიორო ფონდმა, „საქართველოს ბანკმა“ და კერძო ინვესტორებმა.



მეღორეობის ფერმის საწარმოო კომპლექსის პროექტირება და ტექნოლოგიური აღჭურვილობის მოწოდება განხორციელდა გერმანული კომპანიის ,,Big Dutchman“-ის მიერ, რომელიც ერთ– ერთი ლიდერია მსოფლიო ბაზარზე თანამედროვე ტიპის მეცხოველეობის კომპლექსების პროექტირებასა და მათ მაღალტექნოლოგიოურ უზრუნველყოფაში. გენეტიკა მოწოდებულია ბრიტანული კომპანია ACMC -ის მიერ, რომელიც ასევე ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიო ბაზარზე მაღალპროდუქტიული, სწრაფად მზარდი და მაღალი ჯანმრთელობის სტატუსის მქონე სანაშენე ღორების წარმოებაში. კომპანია „კალანდას“ მეღორეობის ფერმა განლაგებულია თეთრიწყაროს რაიონის სოფ. კოდას მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის საწარმოო ფართობი შეადგენს 13 ჰა-ს.

მეღორეობის ფერმის საწარმოო კომპლექსის პირველი ეტაპის სიმძლავრე შეადგენს 16000 ერთეულ დასაკლავ ღორს წელიწადში, 110 კგ ცოცხალ წონაზე. კომპლექსის მოიცავს: 7 საწარმოო შენობას, ითვალისწინებს კომბინირებული საკვების ქარხნის მოწყობას და სასაკლაოს მშენებლობას.

წარმოების მართვას მინიმუმ პირველი საწარმოო წლის პერიოდში განახორციელებს კომპანია ,,Big Dutchman“.

# სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია

**საქართველოში ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტთან და ტრანზიტთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426-ე და №429-ე, აგრეთვე 2012 წლის 7 მარტის №90-ე დადგენილებებში 2013 წლის 17 და 18 მაისს განხორციელებული ცვლილებების შესახებ**

**საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისგათვალისწინებით, ცვლილებები შეიტანა 426-ე, 429-ე და 90-ე დადგენილებებში, რომლის თანახმადაც, შეიცვალა სსიპ-ის შემოსავლების სამსახურისა და სსიპ-ისსურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი, პირობები და სანებართვო მოწმობების ფორმები.**

დადგენილების თანახმად, არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის მიერ საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსით დადგენილი ფორმის წარდგენის საფუძველზე, მხოლოდ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ, ადგილზე გაწეული კონტროლის შედეგების მიხედვით. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის მიზანშეწონილად მიჩნევისას, ამ საწარმოდან იმპორტი შეიძლება განხორციელდეს 6 თვის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში (რისკის ანალიზის საფუძველზე), თუ იმპორტიორი ქვეყანა საჭიროდ მიიჩნევს დამატებითი ინსპექტირების ჩატარებას, შესაძლებელია მისი განხორციელება დადგენილი ვადის გასვლამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუ ქვეყანა ისევ რჩება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ „საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში“, იმპორტის ნებართვა გაიცემა განმეორებითი კონტროლის საფუძველზე.

დადგენილების შესაბამისად, არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისას, ნებართვის გასაცემად საწარმოსთვის არ არის საკმარისი სურსათის ხარისხის მართვის სისტემის დამადასტურებელი ISO სერტიფიკატი.არაკეთილსაიმედო ქვეყნებში იმპორტის ნებართვა გაიცემა სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ წარმოების ადგილზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგების საფუძველზე, რადგან პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც აღნიშნული სერტიფიკატის არსებობის მიუხედავად, საწარმოში არ არის დანერგილი სურსათის ხარისხის მართვის სისტემა.

დაზუსტდა საქართველოში ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისთვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.კერძოდ, არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან ცოცხალი ცხოველების ტრანზიტისას აუცილებელია მიმღები ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ტვირთის გარანტირებული მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე, ტრანზიტის ნებართვის ორიგინალი (არსებობის შემთხვევაში).

**დადგენილებისთანახმად, ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ნუსხასდაემატა პროდუქციის ჯგუფები, რომელზეცუნდა გაიცეს იმპორტის ნებართვა,მაგალითად,თევზისა და კიბოსნაირნის, მოლუსკებისა და წყლის სხვა უხერხემლოების სხვადასხვა ჯგუფი, ღორის, შინაური ფრინველის, მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის ან თხის ცხიმი, ხორცის, თევზის ან კიბოსნაირების, მოლუსკების ან ზღვის სხვა უხერხემლოებისაგან დამზადებული მზა პროდუქტები, მზა წვნიანები, ბულიონები, მდნარი ყველი, ნაყინი და საკვები ყინულის სხვა სახეობები, პომიდორი, ახალი კიტრი და კორნიშონები, რძე და რძის პროდუქტები, მერქანი და მისი ნაწარმი. აღნიშნული ცვლილებაუზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პროდუქტების კონტროლს და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.**

საქართველოს მთავრობის №429 დადგენილებაში „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“განისაზღვრა ვეტერინარული იმპორტის მოთხოვნები საქართველოში ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული იმ პროდუქტის შემოტანისას, რომელთა მოხმარება შედარებით მაღალ რისკს წარმოადგენს ადამიანის/ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

დადგენილებით დამტკიცდა, სპეციფიკური საიმპორტო მოთხოვნები **თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქტების, სასურსათო კვერცხის, სასურსათო თევზისა და ზღვის პროდუქტების, კვერცხის ფხვნილის, მელანჟის, ალბუმინისა და ფრინველის კვერცხის გადამუშავების სხვა პროდუქტის, რძე და რძის, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, საქონლის სუბპროდუქტების, კონსერვის, ძეხვის, სხვა მზა ხორცპროდუქტების, ფრინველის ხორცის და ბავშვთა კვების პროდუქტებისათვის.** აღნიშნული მოთხოვნები არ იყო განსაზღვრული არცერთი ნორმატიული აქტით, რის გამოც მომხმარებელს ხშირ შემთხვევაში არ მიუწვდებოდა ხელი სათანადო ხარისხის პროდუქტთან.

,,ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №90 დადგენილებაში განისაზღვრა, რომ მომხმარებლისთვის მისაწოდებლად განკუთვნილ კვერცხზე (ცალობით ერთეულზე) უნდა აღინიშნოს წარმოშობის ქვეყანა ქართულ ენაზე და კვერცხის დადების თარიღი, რათა მომხმარებელმა ზუსტად იცოდეს, რა ვადის დაცვით და რომელი ქვეყნიდან ხდება მისთვის აღნიშნული სასურსათო პროდუქტის მიწოდება. კვერცხის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტემპერატურული რეჟიმის დამცავი სისტემით აღჭურვილი ტრანსპორტით 0-100$^{0}$C-ის პირობებში, ხოლო კვერცხის პროდუქტების (მელანჟი, ცილა) ტრანსპორტირება – გაყინული (-6 C),ასევე, კვერცხისსარეალიზაციოვადა, შესაბამისიტემპერატურულირეჟიმისდაცვისშემთხვევაში, არუნდააღემატებოდეს 1 თვეს.

**აღნიშნული დადგენილებები ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 21-ე დღეს, 2013 წლის 10-11 ივნისს.**

დადგენილებები და ინფორმაცია განთავსებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე nfa.gov.ge

# შეჩერებულია თუ არა გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია?

ეკა ირემაშვილი

**გუდიაშვილის მოედნის გადასარჩენად და ყოველგვარი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაჩერებლად პერმანენტულად არაერთი საპროტესტო აქცია თუ კულტურული ღონისძიება გაიმართა. ხელოვანები თავისი პროტესტის გამოხატვას გამოფენებითა თუ კონცერტებით აღნიშნავდნენ.**

როგორც დედაქალაქის მერიის ოფიციალურ გვერდზე საგანგებო განცხადებაშია აღნიშნული:

,,გუდიაშვილის მოედანი წარმოადგენს თბილისის მერიის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. მერიას არ გაუსხვისებია და არც მოხდება აღნიშნული ტერიტორიის გასხვისება. რაც შეეხება გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობა-ნაგებობებს, დღევანდელი მდგომარეობით, შენობები თბილისის განვითარების ფონდის საკუთრებაა. ყოველივე ეს გულისხმობს, რომ თბილისის მერიისა და ფონდის თანხმობის გარეშე გუდიაშვილის მოედანზე ვერ განხორციელდება ვერანაირი სამუშაო, ვერ მოხდება ვერც იერსახის თვითნებურად შეცვლა და ვერც შენობების დემონტაჟი. ჩვენი პრიორიტეტია გუდიაშვილის მოედანზე მდებარე ისტორიული შენობებისა და ზოგადად ამ ურბანული ქსოვილის კულტურული მემკვიდრეობის სრულად შენარჩუნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგეგმება შენობების კონსტრუქციული გამაგრება და ისტორიული ფასადების რესტავრაცია. ამჟამად თბილისის განვითარების ფონდსა და კომპანია ,,ირაო მაგნატ გუდიაშვილს" შორის გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება – მემორანდუმი. ხელშეკრულების თანახმად, გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობებზე, ინვესტორის საკუთრების უფლება გავრცელდება მას შემდეგ, რაც ის სრულად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ: განახორციელებს დამტკიცებული პროექტების მიხედვით განსაზღვრულ სამუშაოებს და გადაიხდის ქონების ღირებულებას. ამჟამად საინვესტიციო კომპანია შენობების სარესტავრაციო და გამაგრების პროექტებზე მუშაობს. თითოეული მათგანი წარმოდგენილი იქნება ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივ მეთოდოლოგიურ საბჭოზე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ ზონაში, ნებისმიერი სამუშაოების განხორციელების შესახებ. განხილვის პროცესი საჯაროა. პროექტი თბილისის მერიაში წარმოდგენისთანავე მერიის ვებგვერდზე განთავსდება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს მას. პროექტის დამტკიცების შემდეგ კომპანია ,,ირაო მაგნატ გუდიაშვილი" დაიწყებს ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი



ვალდებულების შესრულებას, რაც გულისხმობს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ გუდიაშვილის მოედანზე მდებარე შენობებს შეუნარჩუნდება მათი ავთენტურობა, არქიტექტურული იერსახე, გაბარიტები და საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობების გამაგრება. შენობა-ნაგებობები ,,ირაო მაგნატ გუდიაშვილს" საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს სრულყოფილად შეასრულებს და გადაიხდის უძრავი ქონების ღირებულებას".?

როგორც გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები აცხადებენ, სარეაბილიტაციო სამუშაოებმა, მათ სახლებს სერიოზული ზიანი მიაყენა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაოები ამჟამად შეჩერებულია, მათ სახლებში ცხოვრება უკვე შეუძლებელია.

რეაბილიტაციამ იმსხვერპლა გია აბესაძის №23, მის მეზობლად მდგარ სახლს კი, რომელიც აბესაძის №21-ით არის დათარიღებული, დანგრევის საფრთხე ყოველ წუთს ემუქრება.

შეჩერებულია თუ არა რეალურად გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია? აბესაძის 21-ში მცხოვრები დონარა სარქისიანი და ნანა ბახტაძე უკვე წლებია ყველანაირი სამუშაოს შეჩერებას ითხოვენ, რადგან მათ სახლებში კედლები დაბზარულია და ღამეებს თეთრად ათენებენ.

დონარა სარქისიანი: – 2009-ში დაიწყეს მშენებლობა, მაშინ ორი წლით შეჩერდა, მაგრამ 2012-ში ისევ გააგრძელეს. მთელი ზაფხული ვეხვეწებოდით, ნუ გვინგრევთ სახლებსო. მერე გვითხრეს, რომ ამის უკან გივი თარგამაძე დგასო. უფროსს ვუთხარი, ვიცი, რომ გივი თარგამაძე დგას ამის უკან და იცოდეთ, თუ არ გაჩერდებით, ბოლოს მოგიღებთ-მეთქი. იმან იუარა, არა ქალბატონო, ეს ტყუილიაო. მერე გვემალებოდა, რომ მივდიოდით, აღარ გამოდიოდა. მაშინ მერიაში დავიწყე სირბილი, დავწერე განცხადებები, მეორე კატეგორია მოგვაკუთვნეს, არადა, უკვე იყო პირველი კატეგორიის სიმძიმის შენობა, მაგრამ თუ ამას დაწერდნენ, მაშინ უნდა დავეკმაყოფილებინეთ და ეს უკვე აღარ აწყობდათ. ჯერ ზედამხედველობის სამსახური გამოვიძახეთ, გვითხრეს, ოფიციალურად მოგვმართეთო, ასეც გავაკეთე, მაგრამ კაციშვილი არ მოვიდა. როცა დავინტერესდით რამდენად კანონიერად კეთდებოდა ეს ყველაფერი, მოგვწერეს, რომ კანონიერად მიმდინარეობდა სამუშაოები, მეორე წერილი რომ მივწერე, აღვნიშნე, რომ რადგან კანონიერად კეთდება, ან სასწრაფოდ შეაჩერეთ სამუშაოები, ან დაგვაკმაყოფილეთ შესაბამისი ფართებით, ვიდრე ცოცხლად დავმარხულვართ-მეთქი. მერიაშიც მივედი და ორი ბრძანება გავასაჩივრე, პატარა სასამართლოსავით გვქონდა, იურისტმა თამარ ანდრიაძემ ოქმი შეადგინა, რომ ასაჩივრებთ, რას ითხოვთო. ვუთხარი, რომ ვითხოვდი სამუშაოების შეჩერებას, მერე გვითხრეს, მოდით, კედლებს გაგიმაგრებთო, 25 წლის ბიჭი იყო, რომელიც არასდროს გვინახავს. ორჯერ შეხვედრა მქონდა და ორივეჯერ ეს პატარა ბიჭი მოვიდა. ჩვენი სახლი ისეთ მდგომარეობაშია, არაფერი გაამაგრებს. XIX საუკუნის სახლია, თუ დაშლიან და თავიდან ააშენებენ კიდევ ხო, მაგრამ გამაგრებით ამ სახლს ვერაფერი გაამაგრებს. თავიდან გვითხრეს, საერთო კედელს გავამაგრებთო, მაგრამ პირიქით, კედლის ნახევარი მოანგრიეს, თან გვეუბნებოდნენ, აქეთა მხრიდან თქვენი კედელია, იქითა მხრიდან – ჩვენიო. ასეთი რამ ცხოვრებაში არ გამიგია. შეათხელეს კედელი, რის საფუძველზე არ ვიცი. რომ ნახეს, კედელი სველია, უკვე აღარ ულირდათ სამუშაოების გაგრძელება, მიატოვეს ასე და დაიწყეს ახალი კედლის ამოყვანა. საბოლოო ჯამში ჩვენი კედელი ფიცრებით უჭირავთ.

***– ბოლოს სამუშაოების შეჩერება როდის გაასაჩივრეთ?***

– ბოლოს რომ გავასაჩივრეთ, მარტის თვეში, მერე უკვე შეაჩერეს მშენებლობა, ოქმზე მეც მოვაწერე ხელი და მათაც მოაწერეს ხელი. იმის მერე მართლაც არ მოსულან, მაგრამ ორიოდე კვირის წინ როცა ისევ დაიწყეს მუშაობა, გავედით და ვიკითხეთ რა ხდებოდა, მათ გვითხრეს, რელსები გაგვაქვსო, მაგრამ იცით რას აკეთებდნენ? მეორე სართულზე ჭრიდნენ უზარმაზარ რკინის რელსებს და იქიდანვე ისროდნენ. სახლი ზანზარებდა, გვეგონა თავზე ჩამოგვექცეოდა ჭერი. ალბათ ამას სპეციალურად აკეთებენ, რომ ჩვენი სახლი კიდევ უფრო დაზიანდეს, მერე გვაიძულონ აქედან წასვლა და დაგვტოვონ ქუჩაში, არავინ არაფერს გვპირდება.

**ნანა ბახტაძე:** – ორიოდე კვირის წინ მოვიდნენ, დიდი რკინის რელსები გადახერხეს და წაიღეს. ჩვენი სახლი ისეთ მდგომარეობაშია, სულ შიშის ქვეშ ვცხოვრობთ. პატარა შვილთაშვილი მყავს და ღამით შიშისგან არ გვძინავს, არ ვიცით, სახლი თავზე როდის ჩამოგვენგრევა, ბზარები დღითიდღე დიდდება, მათი სამუშაოების დროს სახლი საშინლად ზანზარებს, ალბათ უნდათ, რომ სახლი დაიშალოს, მაგრამ თუ ჯერ ჩვენ არ გაგვიყვანენ, როგორ დაშლიან? ალბათ არც ეს აინტერესებთ.

**დონარა:** – როცა ვუთხარით, რომ საშიშ პირობებში ვცხოვრობდით, გვითხრეს, ნუ გეშინიათ ქალბატონო, მერია დაგაკმაყოფილებთო. მთელი ღამეები არ მძინავს, რომ ჩემი შვილები სახლის ნანგრევებში არ მოყვნენ.

***– აქედან გაყვანაზე თანახმა ხართ?***

– რა თქმა უნდა, თანახმა ვართ. გაგვიყვანონ და დაგვაკმაყოფილონ უარს ამაზე არავინ იტყვის. შესაბამისი ფართით დაგვაკმაყოფილონ და მერე აქ რაც უნდათ ის გააკეთონ.

***– აბესაძის ყოფილ 23 ნომერში სახლის აშენებაა დაგეგმილი?***

– არ ვიცით, არავინ არაფერს გვეუბნება. მანდ მაცხოვრებლებს ფული მისცეს და ყველა კმაყოფილია. თითქოს რეკონსტრუქციას უკეთებენ ლიტერატურულ სახლს, მაგრამ რანაირი რეკონსტრუქციაა არ ვიცით, მარტო კედლების დაშენებით რა გამაგრდება? ალბათ მილია გაფუჭებული, შეიძლება გრუნტია, ქვეშ წყლები გადის და საშინელი ნესტია აქ, ჯერ მიწისქვეშა კომუნიკაციაა მოსაწესრიგებელი. ყველა ოთახი სველია.

**ნანა:** – ახლახანს მთელ უბანს წერილი მოგვივიდა ჩვენი რაიონის გამგებლის ნიკა მელიასგან და მთელ პასუხისმგებლობას იცილებენ თავიდან. ერთი და იგივე წერილი მთელმა უბანმა მიიღო.

**დონარა:** – არაფრით არ გვაკმაყოფილებენ, უბრალოდ გამოდითო. ჩვენ როგორც კი გამოვალთ, მაშინვე ჩვენს სახლს დაანგრევენ, იმიტომ რომ პრესტიჟული ადგილია, გაგვიყვანენ ალბათ ერთი-ორი თვე ქირით და მერე მიგვატოვებენ ბედის ანაბარა. ჩვენი გამგებელი ჩვენთან არც კი მოსულა, ამ წერილებს ვიღაცა არიგებდა. არც მაგათი ცენტრი გვინდა, არც მაგათი ახლად აშენებული ბინები.

***– ინვესტორი თქვენთან არ ყოფილა?***

**დონარა:** – ჩვენთან არასოდეს არავინ მოსულა. საერთო კედელი გვაქვს ჩვენ და აბესაძის 23 ნომერს, ორივე ადგილი რომ აელო ინვესტორს,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

## განცხადებები

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# თბილისის თასის წინ

7 ივნისს საქართველოს დედაქალაქში სტარტს აიღებს თბილისის თასის გათამაშება რაგბიში. ეს ტურნირი რაგბის საერთაშორისო კავშირის (ირბ) ეგიდით ტარდება და ასე რომ მომხდარიყო, ქართული რაგბის მესვეურებს დიდი შრომის გაწევა დასჭირდათ.

ტურნირში მონაწილეობას საქართველოს ეროვნულ გუნდთან ერთად, ურუგვაის ნაკრები, სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო 15-ეული და ირლანდიის მზარდი ნაკრები მიიღებს.

აფრიკელთა და ირლანდიელთა ნაკრებების დასახელებამ შეცდომაში არ შეგიყვანოთ – ორივე გუნდი კარგი შემადგენლობით არის ჩამოსული.

ამ ყველაფერზე გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

**გია ნიჟარაძე:**

– დიდი ხანი ვცდილობდით ასეთი მაღალი დონის საქართველოში ჩატარებას. საბოლოოდ, ირბ-ს ხელშეწყობით გადაწყდა, რომ „ბ" დონის გუნდებისთვის ახალი ტურნირი ჩატარებულიყო. ამ ყველაფერმა გამოიწვია ჩერჩილის თასის გაუქმება, ხოლო რუმინეთის ტურნირი გაიყო ორად. არგენტინის, ირლანდიის, სამხრეთ აფრიკისა და იტალიის „ა" ნაკრებები მონაცვლეობით ითამაშებენ თბილისსა და რუმინეთში. ამჯერად მასპინძლობა ირლანდიელებთან და აფრიკელებთან გვიწევს. ტურნირის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტია და ახლა მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ რამდენიმე წელიწადი ამ ტურნირს გაუქმება არ უწერია. დანარჩენი უკვე გუნდების ხარისხზეა და ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. ამის გარდა, ირბ-ს სურვილზეც. პარალელურად, ჩვენც ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. სამწუხაროდ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ტურნირის მასპინძლობა ავჭალაში გვიწევს და კვლავ არ გვიხერხდება უფრო დიდ სტადიონებზე თამაში. არადა, ინტერესი უკვე არის. მინდა ვთქვა მატჩების განრიგზეც: 7 და 11 ივნისს მატჩები 5 და 7 საათზე დაიწყება, ხოლო 16 ივნისს – 2 და 4 საათზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ტურნირის დასრულებისთანავე ჩვენი ნაკრები არგენტინაში მიემგზავრება ტესტ-მატჩის ჩასატარებლად და დროის გადმოწევა მოგვიწია. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობას: ბევრი საუბარი იყო გულშემატკივრებში, თუ რატომ არ ჩამოვიდა სათამაშოდ მამუკა გორგოძე. მინდა გითხრათ, რომ მამუკამ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ლიგაში ითამაშა ყველაზე მეტი სათამაშო წუთი. აწუხებს ტრავმები და ჩვენი გუნდის ლიდერი საფრთხეში რომ არ ჩავაგდოთ, მაგის უფლება გვაქვს. დანაკლისი მის გარდა კიდევ ბევრია – განსაკუთრებით პირველ ხაზში (ხინჩაგაშვილი, ქუბრიაშვილი, ნატრიაშვილი, ჟღენტი). დაგვაკლდება დიმიტრი ბასილაიაც. თუმცა, გუნდში არის სინთეზი გამოცდილი და ახალგაზრდა მორაგბეების, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ტურნირზე ხელწამოსაკრავი გუნდი არ ვიქნებით. ჩვენ მივდივართ გეგმის მიხედვით – 2015 წლის მსოფლიოს თასზე პირველი ადგილით უნდა გავიდეთ.



გუშინვე პრესკონფერენცია გამართეს მონაწილე გუნდების კაპიტნებმა და მწვრთნელებმა. დავიწყოთ კაპიტნებით:

**ირაკლი მაჩხანელი (საქართველო):**

– ჩვენთვის უდავოდ მნიშვნელოვანი ტურნირია. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში ასეთი დონის შეჯიბრი პირველად ტარდება. ძალიან მონდომებულები ვართ და გვინდა თასი თბილისში დავტოვოთ.

**ბრენდონ სეიმანი (აფრიკა):**

– ჩვენთვის დიდი პატივია ასეთ ტურნირში მონაწილეობა. ვიცით, რომ იოლი მეტოქეები არ გვეყოლება. ვერ ვიტყვით, რომ წნეხის ქვეშ არ ვართ, თუმცა შევეცდებით ყველაფერი ვაჩვენოთ.

**არტურო ავალოსი (ურუგვაი):**

– ჩვენ პატარა და მოკრძალებული გუნდი ვართ, ამიტომ დიდი პატივია ასეთი დონის გუნდებთან თამაში. მადლობა საქართველოსა და ირბ-ს აქ მოწვევისთვის.

**რის რუდოკი (ირლანდია):**

– ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. გუნდიც საკმაოდ მობილიზებულია და მზად ვართ საუკეთესო მატჩები ვაჩვენოთ. სულმოუთქმელად ველოდებით ტურნირის დაწყებას.

***– რა გსმენიათ ქართული რაგბის შესახებ?***

**რის რუდოკი:**

– ბევრი ვიცით ქართულ რაგბსა და მის პროგრესზე. ამიტომ უფრო მეტი უნდა მოვინდომოთ, მით უფრო, რომ პირველი მატჩი მათთან გვაქვს. რადგან ახალგაზრდა გუნდი ვართ, ასეთ მეტოქესთან თამაში ჩვენთვის დიდი გამოწვევაა.

**არტურო ავალოსი:**

– ურუგვაიში ძირითადად ფრანგულ რაგბს და იქაურ ჩემპიონატს ვადევნებთ თვალს. ამიტომ ქართველი მორაგბეების შესახებ ბევრი რამ ვიცით. დასკვნის გაკეთებაც მარტივია – ძლიერი გუნდი გყავთ.

**ბრენდონ სეიმანი:**

– საფრანგეთის ჩემპიონატს ჩვენც ვადევნებთ თვალს და ვიცით, რას წარმოადგენენ ქართველის მორაგბეები. განსაკუთრებით თვალშისაცემია მათი ფიზიკური სიძლიერე.

– ტურნირზე 4 განსხვავებული სტილის გუნდები შეიკრიბეთ. როგორ ტურნირს უნდა ველოდოთ?

**რის რუდოკი:**

– არ მინდა ჯერ ყველა გუნდზე ვილაპარაკო. პირველი მატჩი საქართველოსთან გვაქვს, რომელიც ფიზიკურად ძლიერი გუნდია. ჩვენ ახალგაზრდები ვართ და ჯანი არ გვაკლია, თუმცა ვეცდებით დაბალანსებული რაგბი ვითამაშოთ.

**არტურო ავალოსი:**

– ურუგვაის ნაკრებში ფიზიკურად პატარა შემადგენლობაა და ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს ჭიდილი. ამიტომ შევეცდებით უფრო ჯგუფურად და კომპაქტურად ვითამაშოთ.

**ბრენდონ სეიმანი:**

– ჩრდილოეთ ნახევარსფეროს გუნდები ფიზიკური ძალით გამოირჩევიან. ძალიან ძლიერი ბიჭები ჰყავთ, ამიტომ შევეცდებით მათ წინააღმდეგ უფრო დაბალანსებული რაგბი ვითამაშოთ.

**ირაკლი მაჩხანელი:**

– თბილისში ძალიან ძლიერი გუნდები ჩამოვიდნენ. ურუგვაის ეროვნული ნაკრების გარდა, ფაქტობრივად „ა" ნაკრებები არიან, რომლის წევრებიც ეროვნულ გუნდში მოსახვედრად იბრძვიან, ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ მიზნის მისაღწევად. ჩემი აზრით, ტურნირზე უფრო ფიზიკური და ტექნიკური რაგბის შერწყმა იქნება და მაღალი დონის მატჩები ჩატარდება.

კაპიტნების შემდეგ უკვე მწვრთნელების რიგი დადგა.

**ალენ კლარკი (ირლანდია)**

– ჩვენი მორაგბეები სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობენ, ამიტომ უძლიერესი შემადგენლობით ნამდვილად არ ვართ. თუმცა, შერჩეული გვყავს ისეთები, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში დასამკვიდრებლად იბრძოლებენ. ჩვენ მათზე მომავალში დიდ იმედებს ვამყარებთ.

**ფაბიო მანიო (ურუგვაი):**

– ჩვენ მთავარი ნაკრებით ვარ ჩამოსული, მაგრამ რამდენიმე წამყვანი მორაგბე მაინც მოვისაკლისეთ. აქცენტს უფრო განვითარებაზე და მომავალზე გავაკეთებთ.

**ჯიმი სტენჰაუზი (ს.აფრიკა)**

– სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატი 40 კავშირისგან შედგება და ამჟამად ბ დივიზიონის მორაგბეებით ვართ ჩამოსული. ესენი ის სპორტსმენები არიან, რომლებმაც გზა დიდი მიზნებისკენ უნდა გაიკვლიონ.

**მილტონ ჰეიგი (საქართველო):**

– დანაკლისის მიუხედავად, ჩვენ გამოცდილი გუნდი გვყავს, მაგრამ სხვა გუნდების მსგავსად, ჩვენც შანსს მივცემთ ახალგაზრდა მორაგბეებს, რათა კიდევ უფრო კარგად დავინახოთ მათი პოტენციალი და შესაძლებლობები.

რაც შეეხება პროგნოზს ტურნირის ფავორიტის შესახებ, ყველა მწვრთნელმა თავი შეიკავა, მხოლოდ ირლანდიელმა თავკაცმა განაცხადა, ნეტავ ვიცოდე ვინ იქნება ფავორიტი, გეგმას უკეთესად დავსახავდიო.

## სპორტის სამინისტროში თბილისი 2015-ის შესახებ იმსჯელეს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საკოორდინაციო კომისიის წევრები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ლევან ყიფიანს და მის მოადგილეებს თამაზ თევზაძეს და აკაკი ლოდიას შეხვდნენ.

დღის პირველ ნაწილში საკოორდინაციო კომისიის ხელმძღვანელმა იოზეფ ლიბამ, კომისიის კოორდინატორმა კატერინა ნიჩოვამ და კომისიის წევრმა სტრატოს კარეტოსმა თბილისის ზღვაზე მშენებარე ოლიმპიური სოფელი დაათვალიერეს და ის ადგილი მოინახულეს, სადაც მულტიფუნქციური დარბაზის აშენება იგეგმება.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში შეხვედრამდე დელეგაციის წევრებმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოინახულეს და პრეზიდენტს ლერი ხაბელოვს შეხვდნენ.

გუშინ, ეაოფ-ის საკოორდინაციო კომისია დიდუბის საკალათბურთო სკოლას და დინამო არენას ეწვეოდნენ, შემდეგ კი დაგეგმილი იყო საქმიანი შეხვედრა დედაქალაქის მერიაში. დღის ბოლოს გაიმართება ვიზიტის შემაჯამებელი პრესკონფერენცია, რომელსაც ოლიმპიური კომიტეტი უმასპინძლებდა და მის შესახებ ხვალინდელ ნომერში გიამბობთ.

## სამინისტროში ხურციძეს უმასპინძლეს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სამინისტროში პროფესიონალ მოკრივეს ავთანდილ ხურციძეს შეხვდა. ხურციძე ვბა და ვბც ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მფლობელი და არაერთი ჯილდოს მფლობელია. მინისტრმა და სპორტსმენმა სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

ხურციძის სურვილია, რომ მომავალ წელს ერთ-ერთი ქამრისთვის (ვბც, ვბო, აბფ ვერსიები) ბრძოლა თბილისში გამართოს. ქართველი მოკრივე უახლოეს პერიოდში ამერიკაში გამგზავრებას და მომავალი მეტოქის შესარჩევად მოლაპარაკების გამართვას აპირებს. აქედანვე ცნობილია, რომ ხურციძის სავარაუდო მეტოქე მსოფლიოს რეიტინგის ათეულის წევრი იქნება.

## მინისაკალათბურთო ფესტივალის გამარჯვებული აკადემია გახდა

დასრულდა 2001 წელს დაბადებულთა მინისაკალათბურთო ფესტივალი, რომელიც თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა კალათბურთის ფედერაციის ხელშეწყობით ჩაატარა. შეჯიბრში მონაწილეობა 12-მა გუნდმა მიიღო, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. ფინალში თამაშის უფლება „აკადემიამ" და „ჰიუნდაიმ" მოიპოვეს, ჩემპიონის ტიტული კი აკადემიელებმა დაისაკუთრეს.

ფინალურ შეხვედრამდე გაიმართა მატჩი მე-3 ადგილისთვის, რომელშიც ერთმანეთს „კარდინალი" და „მართვე" დაუპირისპირდნენ. კარდინალებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს და ფესტივალის ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონნენ. ფინალური შეხვედრა ბევრად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მატჩის უმეტესი ნაწილი თანაბარ ბრძოლაში გაილია. შეხვედრის ბოლო 5 წუთში აკადემიელთა უპირატესობა აშკარა გახდა, რაც ანგარიშზეც აისახა. ალეკო ჯაფარიძისა და ირაკლი ტომარაძის გაწვრთნილი აკადემიელები გამარჯვებამდე წარმატებით მივიდნენ და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

ტურნირის გამორჩეული მონაწილეები სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ყველა გუნდის 2-2 საუკეთესო მოთამაშე გამომცემლობა „პალიტრა ლ"-ისგან წიგნებით დასაჩუქრდნენ, ხოლო ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გოგონას (ფესტივალზე დაშვებული იყო გოგონების ასპარეზობა) კომპანია „ბილაინმა" მობილური ტელეფონი გადასცა. დასაჩუქრდა ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი, აკადემიელი რატი ანდრონიკაშვილი, რომელსაც მაღაზია „დიზელისგან" აქსესუარი გადაეცა.

მე-3 ადგილისთვის: კარდინალი-მართვე 52:20

ფინალი: ჰიუნდაი-აკადემია 39:49

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## დილამ გიორგი დევდარიანი წარადგინა

თენგიზ ბურჯანაძის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შედგა „დილას" ახალი მთავარი მწვრთნელის გიორგი დევდარიანის წარდგენა. შეხვედრას ჟურნალისტებთან ერთად გულშემატკივრებიც დაესწრნენ. ასევე იმყოფებოდნენ გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი და სხვა თანამშრომლებიც.

ერთია, „დილამ" ახალი მწვრთნელი კი წარადგინა, მაგრამ ჯერ უცნობია მიიღებენ თუ არა სხვა გუნდები საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობას.

**ვანო ხორგუაშვილი (დილას სპორტული დირექტორი):**

– გვინდა წარმოგიდგინოთ გამოცდილი, ქართულ ფეხბურთში კარგად ცნობილი მწვრთნელი და ვფიქრობ, ბატონ გიორგისთან ერთად ჩვენ შევასრულებთ დასახულ მიზნებს. ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს ამ ახალგაზრდა და საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტის. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს კლუბში ძალიან სასიკეთო საქმეები და ძალიან ბევრი კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელი გაიზრდება.

**გიორგი დევდარიანი:**

– პირველ რიგში, მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ნდობისთვის გორის მუნიციპალიტეტს და ყველა იმ ადამიანს ვინც გვერდში დამიდგა. ნდობის გარდა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და ვეცდები, ეს ტვირთი ღირსეულად ვზიდო, ისევე როგორც ეს გორმა და რეგიონმა დაიმსახურა. რაც შეეხება იმას, რა სიტუაცია დამხვდა გორში, ვხედავ, რომ დღითიდღე აქ ფეხბურთი უფრო და უფრო პოპულარული ხდება. წინსვლა არის და ყველა ვხედავთ, რომ აქ ინფრასტრუქტურა ძალიან კეთილმოწყობილია. არც ველოდი იმას, რაც დღეს დამხვდა, რადგან გორში დიდი ხანია არ ვყოფილვარ და ნანახმა ნამდვილად ყველა მოლოდინს გადააჭარბა. გუნდი თამაშობდა ძალიან ლამაზ და კარგ ფეხბურთს, რომელიც აუცილებლად უნდა შევინარჩუნო და კიდევ უფრო გავაუმჯობესო. სანახაობრივი შტრიხები შევიტანო გუნდის თამაშში, რაც არ არის ადვილი საქმე. ის, რაც დამახვედრეს აქ მომუშავე სპეციალისტებმა, საკმაოდ მაღალ დონეზე არის და რომ არ მქონოდა იმის თავი, რომ კიდევ რაიმე შევმატო აქაურობას ნამდვილად არ მოვიდოდი. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ გორის „დილას" ახალგაზრდული გუნდები ძალიან წარმატებულად გამოდიან ჭაბუკთა ლიგის გათამაშებაში და მე როგორც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვაკვირდებოდი მათ თამაშებს და მინდა ვთქვა, რომ არაერთი პერსპექტიული ფეხბურთელი ეზრდება გუნდს რაც ჩემი პირადი მოწონებაც არის, რომ გზა გავუხსნათ და ხელი შევუწყოთ მათ, იმისთვის, რომ ჯერ გორში დაიმკვიდრონ ადგილი და შემდეგ ალბათ ყველას სურვილი იქნება, რომ საქართველოს ნაკრებს ღირსეული ფეხბურთელები მივაწოდოთ.

***– ეს იმას ხომ არ ნიშნავს რომ აქცენტი გაკეთდება ახალგაზრდებზე და ადგილობრივ ნაკადზე?***

– ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ უეფას თასზე მოგვიწევს თამაში. ვერ დაგპირდებით და არ არის ეს რეალური ჩემი აზრით, როდესაც გუნდი შენდება მოხვედი და თქვა უეფას თასს ავიღებთ, ნამდვილად არ გვაქვს ამის ილუზია. თუმცა მჯერა, რომ ღირსეულად წარმოვაჩენთ ამ გუნდს და ვეცდებითმ რომ ეროვნულ ჩემპიონატში ისევ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ და რაც შარშან გაკეთდა მინიმუმ ის მაინც შევინარჩუნოთ. რაც შეეხება ახალგაზრდების დაწინაურებას, ეს მათზე არის დამოკიდებული და ჩვენზე იმ კუთხით რომ უფრო ხელი შევუწყოთ მათ განვითარებას. თუკი გამოჩნდება ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელიც დაიმსახურებს ძირითადში თამაშს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი ფეხბურთელი. თუმცა, თუ ჩამოყვანილი ფეხბურთელის კლასი და მისი თამაშის ხარისხი აღემატება ადგილობრივისას, ლოგიკური იქნება რომ ითამაშოს მან, ვინც დღეისთვის უკეთესად არის მომზადებული. თქვენ უკვე მიეჩვიეთ გორის „დილასგან" გამარჯვებებს და მათი მოკლების უფლებას მე პირადად ვერ მივცემ ჩემს თავს. თუკი კლუბის ხელმძღვანელობა სხვა მიზნებს დასახავს, ვთქვათ, არ გვინდა პირველი სამეული და გავაკეთოთ აქცენტი ახალგაზრდებზე, ესეც შეთანხმების საგანია. მე ვარ მწვრთნელი, რომელმაც უნდა შევასრულო აქაური ხალხის დაკვეთა. დღეს ეს დაკვეთა არის რომ ჩვენ შევინარჩუნოთ მაღალი ადგილი ეროვნულ ჩემპიონატში და ასევე ღირსეულად გამოვიდეთ ევროსარბიელზე.

***– რა რესურსი არსებობს იმისა, რომ ნორმალური მოსამზადებელი შეკრება გაიაროს გუნდმა. გამოდგეს ნაყოფიერი შეკრება და შესაბამისად აისახოს ევროპის ლიგაზე ნორმალური გამოსვლით?***

– მე რამდენადაც ვიცი, ყველანაირი რესურსი არის იმისთვის, რომ გუნდმა კარგი მოსამზადებელი პერიოდი გაიაროს. რაც შეეხება შარშანდელთან შედარებით გუნდის თამაშის ხარისხსა და შედეგს, ჯერ გასარკვევია ყველაფერი. კვირის ბოლომდე ვეცდებით ჩამოვყალიბდეთ, იმიტომ რომ ძალიან ბევრი იმედის მომცემი და უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი თამაშობს „დილაში" და გასაკვირი არ არის, რომ ბევრ მათგანზე არის მოთხოვნა უცხოური გუნდებიდან. ვის შევინარჩუნებთ, ჯერ არ არის გადაწყვეტილი და უფრო ლოგიკური იქნება, თუ ამ ყველაფერს გავარკვევთ. ახლა ამის შესახებ რომ დამისვათ კითხვა, ნამდვილად ვერ გაგცემთ პასუხს ვინ დარჩება გუნდში და ვინ არა, თუმცა, რა თქმა უნდა, ფეხბურთელების გარკვეული ჯგუფი დარჩება.

# როგორია უკრაინული კულტურა?

ეკა ირემაშვილი

გაინტერესებთ როგორია უკრაინული კულტურა? თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი 8 ივნისს რიყის პარკში მართავს ღონისძიებას, რათა დაინტერესებულმა საზოგადოებამ უკეთ შეიგრძნოს უკრაინის ისტორიის მცირე ნაწილი.

— თბილისში ლვოვის დღეების ფარგლებში ყველა მსურველს შეუძლია თოჯინა „მოტანკა“-ს დამზადებისა და „პისაკა“-ს მოხატვის მასტერკლასებში მიიღოს მონაწილეობა. 8 ივნისს თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს საშუალება ეძლევათ თოჯინა „მოტანკა“-ს დამზადებისა და „პისაკა“-ს მოხატვის საშუალებით ახლოს გაიცნონ უკრაინული კულტურა. მასტერკლასების დროს მსურველები გაეცნობიან უკრაინულ თქმულებებში ამ ნივთების ისტორიას და მათ მნიშვნელობას დღევანდელ ცხოვრებაში. ამ თოჯინებს უკრაინულ კულტურაში საკრალური დატვირთვა ჰქონდათ. ხალხს სჯეროდა, რომ ისინი იცავდნენ თავის პატრონს, წარმატება და ფული მოჰქონდათ. თოჯინების დამზადების საიდუმლოს დედები ქალიშვილებს გადასცემდნენ. დედა, შვილს გათხოვებისას თოჯინას, როგორც ახალი სახლისთვის მცველად გადასცემდა. „მოტანკა“-ს სხვა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას სახე არ აქვს, რადგანაც წარმართებს სჯეროდათ, რომ სახის საშუალებით სხეულში სული სახლდებოდა. თოჯინის დასამზადებლად ნატურალურ მასალას იყენებენ: თივას, ჩალას, ხეს, ბალახს, თესლებს და მარცვლებს და რთავენ ხალხური ორნამენტებითა და ნაქარგებით. „პისანკა“ უკრაინული ისტორიის მნიშვნელოვანი ელემენტია. ეს არის სხვადასხვა სიმბოლური ელემენტითა და ორნამენტით მოხატული კვერცხი. უკრაინაში თითოეული რეგიონისთვის დამახასიათებელი მოხატულობა მოიძებნება, რადგან კვერცხების მოხატვა ჯერ კიდევ წარმართულ დროში დაიწყეს. ამ ტრადიციამ ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგ კვერცხის მოხატვა ქრისტეს შობის დღესასწაულის მნიშვნელოვანი ატრიბუტი გახდა. მასტერკლასი თბილისში ლვოვის დღეების ფარგლებში ჩატარდება, — აცხადებს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ხელმძღვანელი ნეკა სებისკვერაძე.

უკრაინული თოჯინები გამოფენილია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზშიც. ამჯერად მათთან ერთად დამთვალიერებელს შეუძლია ქართული თოჯინებიც დაათვალიეროს.

— საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ქართული და უკრაინული ხელნაკეთი თოჯინების გამოფენა — 7 უკრაინელი და 43 ქართველი ოსტატი-მეთოჯინის 140-მდე ნამუშევარი, მათ შორის, ცვილის, თიხის, რბილი, ეთნოგრაფიული, გონჯა, მარიონეტები, ორიგინალური ჟანრის თოჯინები. საქართველოში უძველესი დროიდან სხვადასხვა ტიპის თოჯინა ამა თუ იმ წესჩვეულების შესრულებისას გამოიყენებოდა, რაც მთავარია, ოდითგანვე თოჯინა ქართველი ბავშვის საყვარელი სათამაშო იყო, ამიტომაც მას მოფერებით „დედოფალა“ შეარქვეს, — აღნიშნავს ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი.

ფოლკლორის ცენტრის მცირე დარბაზში წარმოდგენილია ჩეხი მეთოჯინეებისა და საქართველოს თოჯინების მუზეუმის ექსპონატების ერთობლივი გამოფენა. ამავე ღონისძიების ფარგლებში ჩეხმა მეთოჯინეებმა მასტერკლასის ჩატარება დაგეგმეს.

უკრაინული კულტურის წარმოდგენის ფარგლებში „ტიფლის დეველოპმენტ ბიზნეს ატურეში“ ლვოვისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა გაიხსნა, სადაც წარმოდგენილია სამი უკრაინელი ფოტოხელოვანის ალექსანდრე ფრაზე-ფრაზენკოს, ნელი გოლუბიატნიკოვას, ტატიანა ბორდიუკოვასა და ლვოვის ფოტოსკოლის „სტუდია 111“ მოსწავლეების 40-მდე ნამუშევრი.

— ხშირად ფოტოგრაფიას შეუძლია აჩვენოს და მოყვეს უფრო მეტი ვიდრე ტექსტის უამრავ ფურცელს. ეს განსაკუთრებით ლვოვის მიმართ ითქმის. 750 წლის განმავლობაში ქალაქმა განიცადა სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის შერწყმა, რამაც ლომის ქალაქს — ლვოვი, პირდაპირი თარგმანით ლომის ქალაქს ნიშნავს და მის ვიწრო ქუჩებს განუმეორებელი ატმოსფერო შესძინა, სადაც თითქოს ქვებიც სუნთქავენ და ცხოვრობენ თავისი ცხოვრებით. გამოფენისთვის ფოტოსურათების შექმნისას ფოტოხელოვანების სურვილი და მიზანი იყო გადმოეცათ ლვოვის განუმეორებელი ატმოსფერო და ისტორია ერთ კადრში. ნამუშევრების ფორმატი მრავალფეროვანია, რეპორტაჟული ფოტოგადაღებიდან არქიტექტურულ ფოტოებამდე. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას ქალაქის მრავალი მხრიდან დანახვისა და მისი შეყვარების, — ამბობს ნეკა სებისკვერაძე.

# ლევან წულაძე ახალ თეატრს ხსნის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ული, მხიარული, მაგრამ ცოტა „წიწაკით“. ახალი თეატრის მოწყობის პრინციპი მინდა იყოს მოლიერისეული. მინდა მსახიობთა თანაარსებობის პრინციპიც იყოს: „იყავი მარტო და იყავი ყველასთან ერთად!“ — ძალიან მომწონს ეს დევიზი, ვთვლი, რომ საინტერესო აზრი დევს მსახიობისთვის, იყავი ყველასთან ერთად იმიტომ, რომ ანსამბლი ხარ, ამავდროულად იყავი მარტო, იმიტომ რომ ინდივიდი ხარ, ანუ ის, რაც შენ ხარ მხოლოდ, — მიაჩნია ლევან წულაძეს.

რაც შეეხება ახალ სივრცეს, ამაზეც რეჟისორს თავისებური განმარტება აქვს:

— დიდი ხნის წინ დავინახე. ვეძებდით ახალ სივრცეს, დამოუკიდებელი თეატრისათვის. თუმცა თეატრი დამოუკიდებელია თუ არა, ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა. ბოლოს გადავწყვიტეთ. მოვდივარ ყოველ დილით, ჯერ არავინ არ არის ხოლმე, დავბორიალობ და გავდივარ. მერე ისევ ვბრუნდები ცოტა ხანში. სივრცესთან სიყვარული მაქვს დიდი.

ჩვენი რომანი ყველაზე არაჩვეულებრივ ფაზაშია, როცა ჯერ მხოლოდ ფანტაზიებია, არაფერი არ მომხდარა. ჯერ ფლირტია. ღამე ოცნებობ ბალიშზე, ფიქრობ მასზე, გეგმავ როგორ შეხვდები ხვალ. ჯერ ეს მდგომარეობაა, ყველაზე არაჩვეულებრივი, — ამბობს რეჟისორი.

ლევან წულაძის „ტარტიუფში“ გუნდი დიდი ხანია დაკომპლექტებულია. რეჟისორი და სცენოგრაფი თავად ლევან წულაძეა, კოსტიუმების მხატვარი — ნინო სურგულაძე, მუსიკალური გამფორმებელი — ზურაბ გაგლოშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნიკა კუჭავა (ორგონი), ზვიად სხირტლაძე (ტარტიუფი), მანანა კოზაკოვა (პერნელი), ბარბარე დვალიშვილი (დორინა), თამარ ბუხნიკაშვილი (ფლიპოტი), ზაზა იაკაშვილი (კლეანტი), ბესო ბარათაშვილი (ლოიალი), ქეთა შათირიშვილი (ელმირა), ანა ვასაძე (მარიანა), გიორგი კიკნაძე (დამისი) და პაატა პაპუაშვილი (ვალერი).

ეკა ირემაშვილი

# სირიის ხელისუფლებამ კრუსეირზე სრული კონტროლი აღადგინა



სირიის სახელისუფლებო შეიარაღებულმა ძალებმა სრული კონტროლი აღადგინეს ქალაქ კრუსეირზე, რომელიც ქვეყნის დასავლეთ ნაწილის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენს და ოპოზიციური ძალების მთავარ დასაყრდენად მიიჩნეოდა ლიბანის საზღვარზე.

ინფორმაცია ქალაქ კრუსეირისა და მთლიანად რეგიონის კონტროლის შესახებ სირიის სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით გავრცელდა. „ჩვენი შეიარაღებული ძალები დიდი სიმამაცით იბრძოდნენ და საბოლოოდ სრული კონტროლი დააწესეს რეგიონზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

კრუსეირისთვის ბრძოლა უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. რეგიონის კონტროლი სირიასა და ლიბანს შორის საკვანძო კავშირის პუნქტების კონტროლის საშუალებას იძლევა.

განცდილი მარცხი ოპოზიციამ სოციალური ქსელის მეშვეობით აღიარა. „სამწუხაროდ, ამ რაუნდში დავმარცხდით. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მოწინააღმდეგის მასშტაბური არსენალისა და ჰეზბოლას ბოევიკების მხარდაჭერისა, ათობით მამაცმა მეომარმა მაინც მოახერხა და კორიდორი შექმნა, რითაც ქალაქის დატოვების საშუალება მისცა მეგობრებსა და მშვიდობიან მოსახლეობას“, — ნათქვამია ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებულ განცხადებაში.

„ქიმიური იარაღი სირიაში, სადაც უკვე ორი წელია სისხლიანი დაპირისპირება გრძელდება ბაშარ ასადის ჯარებსა და ამბოხებულებს შორის, შესაძლოა კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს გამოეყენებინა“, — შეგახსენებთ, რომ ასეთ დასკვნამდე გაეროს ინსპექტორები მივიდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ექსპერტებმა „საკმარისი საფუძველი“ ნახეს იმისათვის, რომ ამტკიცონ, რომ ქიმიური იარაღი ოთხჯერ იქნა გამოყენებული — მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში.

ანგარიშის ავტორებმა ქიმიურ იარაღში არსებული მომწამლავი ნივთიერებების დასახელებისგან თავი შეიკავეს.

სირიელი ამბოხებულები და მთავრობა გამუდმებით ერთმანეთს ადანაშაულებენ ქიმიური იარაღის გამოყენებაში და ყოველ ჯერზე ორივე მხარე მის გამოყენებას უარყოფს.

მოამზადა
გერა მამულაშვილმა

# ვაშინგტონში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მიღება გაიმართა

ვაშინგტონში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად საზეიმო მიღება გაიმართა. ღონისძიებას აშშ-ში სამუშაო ვიზიტით მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დაესწრო. მოწვეულ სტუმრებს შორის ამერიკის კონგრესისა და სენატის წარმომადგენლები, ამერიკელი სამხედრო მაღალჩინოსნები, ვაშინგტონში აკრედიტირებული სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები იყვნენ.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და აშშ-ში საქართველოს ახალმა ელჩმა არჩილ გეგეშიძემ მიმართეს. საკუთარ გამოსვლებში მათ ყურადღება ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობაზე გაამახვილეს და ამერიკულ მხარეს კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა საქართველოს მხარდაჭერისთვის.

საპატიო სტუმრებს შორის იყო ამერიკის საზღვაო ძალების მეთაური გენერალი ჯონ პაქსტონი. საკუთარ გამოსვლაში გენერალმა ხაზი გაუსვა ქართველი სამხედროების სიმამაცესა და პროფესიონალიზმს და მათ მადლობა გადაუხადა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისათვის.

„ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ღონისძიებაზე დასწრება. ვისურვებდი, რომ ქართველმა ხალხმა კიდევ მრავალჯერ იზეიმოს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. ჩვენ გვქონდა პატივი გვემსახურა ქართველი ჯარისკაცების გვერდით ერაყსა და ავღანეთში და ეს ადამიანები უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ თავიანთი თავდადებისა და სიმამაცის გამო. გილოცავთ დღევანდელ დღეს“ — განაცხადა პაქსტონმა.

მიღებას ესწრებოდა ასევე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე, ერიკ რუბინი.

„მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვიმყოფები. მინდა საქართველოს მრავალწლიანი პროგრესი, წინსვლა და ისეთი თავისუფალი საზოგადოების მშენებლობა ვუსურვო, რომელიც პასუხობს ქართველი ხალხის მოლოდინსა და მისწრაფებას ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანებისკენ“ — აღნიშნა ერიკ რუბინმა.

საზეიმო მიღებას ასევე ესწრებოდნენ ავღანეთში დაჭრილი ქართველი სამხედროები, რომლებიც მკურნალობის კურსს ამერიკის სამხედრო ჰოსპიტალში გადიან.

ნიუსპრესი

# შეჩერებულია თუ არა გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

უფრო მეტი მოგება ექნებოდა, მაგრამ ალბათ არ მოუშვეს ჩვენამდე. საბუთი არ მიჭირავს ხელში და ჭორის დონეზე ვიცით, რომ ამ ადგილას აპირებენ სასტუმროების, რესტორნების და ბარების მოწყობას, თუმცა რაც ჭორის დონეზე ითქვა, მერე ყველაფერი გამართლდა. ჩვენზე კი არ ფიქრობენ, ესენი ტურისტებზე ფიქრობენ. ნახეთ, მთელი ბათუმი თურქებით არის სავსე. როგორ არ ვინატრო კომუნისტები? ყველაფერი უფასო იყო — ბინაც, სწავლაც, მკურნალობაც.

***— დარჩა ამ ტერიტორიაზე რამე დასაშლელი, რომ ისევ განახლდეს სამუშაოები?***

**დონარა:** — თუ მოინდომებენ, გამონახავენ კიდევ რამე სამუშაოებს და ალბათ დაინგრევა კიდეც ჩვენი სახლი. ეს შენობა მეტს ველარ გაუძლებს. ჩვენი აგურები დაყიდეს, ალბათ ამიტომაც შეათხელეს კედელი. თქვენ გგონიათ, ლიტერატურული სახლი დიდხანს გაძლებს? ვერ გაძლებს. ზემოდან მოდის გრუნტის წყალი, ჯერ იმას რეცხავს, მერე ჩვენ და მერე მიდის ქვევით. ვითომ უნდათ ლიტერატურული სახლის გადარჩენა, იმის გამო, რომ ლერმონტოვი ცხოვრობდა იქ, მაგრამ არ ჯობია საშიშ მდგომარეობაში გამაგრებული სულ დაშალონ და თავიდან ააშენონ? მერიამ 12-13 წლის წინ კაპიტალური რემონტი გაგვიკეთა, მაგრამ იატაკი საერთოდ ჩავარდა. საძირკველი როცა არ არის მყარი, არანაირ გამაგრებას აზრი არ აქვს. სახლში თავისით იშლება ყველაფერი. რემონტი გავაკეთეთ, მაგრამ მიწისძვრა იყო და ეგრევე დაიშალა ყველაფერი.

**ნანა:** — აქ რომ არ დაეწყოთ ბრაგა-ბრუგი, კიდევ ორი ამდენს გაძლებდა ეს სახლი, მაგრამ ვის აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა? ისე ზანზარებს ხოლმე სახლი, კედლები ხელით გვიჭირავს. 2009 წლიდან ვიბრძვით, რომ სახლი თავზე არ ჩამოგვენგრეს. რომ ვიჩივლე, ორი წელი ყველაფერი გააჩერეს, კარგი პასუხი გაგვცეს, არქიტექტორები მოვიდნენ და თქვეს კიდეც, ამის ხელის მოკიდება არ შეიძლებოდაო.

**დონარა:** — აღარ მინდა ამ ქვეყანაში ცხოვრება, მოვიდნენ, მომცენ რაღაც ფული და აქედან წავალ. ჩემს შვილებს მომავალი არ აქვთ. ჩემი შვილი ინსტიტუტში სწავლობს და რომ დაამთავრებს, იშოვის თუ არა სამსახურს, კიდევ საკითხავია. მისმა მეგობარმა ისწავლა, დაამთავრა და ახლა ოფიციანტის ადგილი ძლივს იშოვა მაჭახელაში. რისთვის ისწავლა, თუ მაინც ოფიციანტად უნდა ემუშავა? აღარაფერი არ მინდა, მიწაც მაგათ დარჩეთ, სახლიც და ყველაფერიც, აქ კიდევ დიდხანს იქნება ასეთი მდგომარეობა და თუ ეს იქნება მუსულმანური ქვეყანა, აქ ცხოვრება არ მინდა, თურქებთან ცხოვრება და ჩემი ოჯახით მათი მონობა არ მინდა.

„ახალი თაობა“ კომპანიას „ირაო მაგნატ გუდიაშვილი“ დაუკავშირდა, სადაც ასეთი პასუხი მიიღო:

— გუდიაშვილის სკვერის რეაბილიტაცია შეჩერებულია. ჩვენი მხრიდან ყველაფერი დასრულებულია, მანდ აღარაფერს ვაკეთებთ. ვინ რას აკეთებს არ ვიცით, ჩვენგან არაფერი არ ხდება და არც ვაპირებთ სამუშაოების გაგრძელებას.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



შვეულად: 1. გუნდ-გუნდად გადაადგილებადი მცენარეულის მავნებელი მწერი; 2. იამაიკის დედაქალაქი; 3. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 4. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 5. მოტოროლების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 9. ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება; 11. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 12. ატომური ენერგიეს საერთაშორისო სააგენტო; 14. ინგლისელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 18. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 19. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია აშშ-ს სამხედრო საჰაერო-საზღვაო ბაზა.

თარაზულად: 4. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; 5. წაგრძელებული, უგუმბათო, სწორკუთხა ტაძარი; 6. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 7. თანამედროვე ფრანგი კომპოზიტორი, შანსონიე მამაკაცი; 8. დაზვერვის თანამშრომელი; 10. ჰოლანდიური ყველი; 13. ბეწვეულის, შალის ქსოვილების მავნებელი პატარა პეპელა; 15. გარეგანი ზემოქმედებით სხეულის ნაწილების დაზიანება; 16. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 17. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 20. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 21. არტურ რუბინშტეინის ოპერა; 22. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 23. პორტუგალიური შემაგრებული ღვინო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სორენტო; 2. მრუმე; 3. კრეისერი; 4. სტუპორი; 5. ვერნისაჟი; 9. ხიტონი; 12. ვექტორი; 14. რიბერი; 15. ლეტა; 17. ნოსტე; 18. ვანი.

**თარაზულად:** 6. ჰოპერი; 7. ბრიატორე; 8. რეჟიმი; 10. პოლკი; 11. კონვერტორი; 13. ბრუკლინი; 16. „ქენონი“; 19. „აბსოლუტი“; 20. ციხეგოჯი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პორტერი; 2. პატარძალი; 3. სკრეპერი; 4. დემეტრე; 5. ეკლერი; 9. ნოქარი; 11. „ჯეოსელი“; 12. კაზუსი; 14. ტრაპერი; 18. ოდინი; 19. ლალია.

**თარაზულად:** 4. დავოსი; 5. ესპანეთი; 6. რკინა; 7. ომმეტრი; 8. ბარონი; 10. მენჯი; 13. როტარუ; 15. ძელქვა; 16. როსი; 17. პესო; 20. პეგასი; 21. „ლიკუდი“; 22. ჭანჭური; 23. ილვესი.

# ტუნისში „ფემენის“ აქტივისტებს ტოპლეს-პროტესტისთვის ასამართლებენ. მოძრაობის ლიდერი დეპორტირებულია უკრაინაში




ტუნისში მართლმსაჯულების სასახლეში, რადიკალური მოძრაობა „ფემენის“ სამი აქტივისტის სასამართლო პროცესი დაიწყო, რომლებმაც მაისის ბოლოს ტუნისელი თანამებრძოლის, ამინა ტაილერის მხარდამჭერი ტოპლეს-აქცია მოაწყვეს, იტყობინება „ნიუსრუ ისრაელი“. ასევე ცნობილი გახდა, რომ ამ აფრიკული ქვეყნის ხელისუფლებამ უკრაინაში გააძევა „ფემენის“ ლიდერი ალექსანდრა შევჩენკო, ამ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ მოძრაობის წარმომადგენელ ინა შევჩენკოზე დაყრდნობით ავრცელებს.

გოგონას თქმით, ტუნისის დედაქალაქში, მისი მოგვარის სასტუმროს ნომერში შევიდნენ უცნობი ადამიანები, რომლებმაც ნივთების შეგროვება უბრძანეს და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. იქ წესრიგის მცველნი ოთხი საათის განმავლობაში კითხავდნენ ფემინისტს; კერძოდ, ინტერესდებოდნენ, აპირებს თუ არა ფემინისტების ტოპლეს-აქციებში მონაწილეობას. შემდეგ შევჩენკო პარიზის გავლით, კიევში მიმავალ თვითმფრინავში დასვეს.

ინა შევჩენკომ განმარტა, რომ ალექსანდრა 4 ივნისს ჩავიდა ტუნისში, რათა მხარი დაეჭირა ქვეყანაში ადრე დაპატიმრებული აქტივისტებისთვის და სასამართლოს დასწრებოდა. პოლიციაში ალექსანდრას პასპორტი ჩამოართვეს — საფრანგეთში ჩასვლამდე დოკუმენტი თვითმფრინავის კაპიტანთან ინახებოდა, ნათქვამია „ფემენის“ საიტზე.

# შვედეთის საგარეო მინისტრი რუსმა მესაზღვრეებმა ეკლესიაში არ შეუშვეს



შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი რუსმა მესაზღვრეებმა მაშინ შეაჩერეს, როცა დღისით რუსეთის საზღვრის გადაკვეთას შეეცადა. საგარეო უწყების შეფს რუსეთში შესვლაზე უარი იმის გამო უთხრეს, რომ დიპლომატიური პასპორტი სახლში დატოვა, განუცხადა ჟურნალისტებს მინისტრის პრესმდივანმა ერიკ ზციგმა და თანამდებობის პირთა პრეტენზიების სამართლიანობა აღიარა.

კარლ ბილდტი ნორვეგიულ კირკენესში ბარენცის რეგიონის საბჭოში მონაწილეობდა, სადაც რუსეთს პრემიერ-მინისტრი დმიტრი მედვედევი წარმოადგენდა. შეხვედრის შემდეგ, შვედ მინისტრს კულტურულ პროგრამაზე წასვლა და დასახლება ბორისოგლებსკში ბორისის და გლების ეკლესიის მონახულება სურდა, წერს შვედური გამოცემა ექსპრესენი. მურმანსკის ოლქის პეჩენგსკის რაიონში ეს დასახლებული პუნქტი ნორვეგიასთან საზღვარზე მდებარეობს, მდინარე პაზის მარცხენა ნაპირზე. უძველესი ეკლესია აქ 1565 წელს აშენდა. 1826 წელს, რუსეთის და ნორვეგიის საზღვრების დემარკაციისას გამყოფმა ხაზმა მდინარე პაზზე გაიარა. ამასთან, მარცხენა სანაპირო, სადაც დგას ეკლესია, ნორვეგიის მხარეს დარჩა. მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის რუსეთის შემადგენლობაში შენარჩუნებისთვის, ნორვეგიულ ნაპირზე ერთი კვადრატული კილომეტრის ანკლავი შეიქმნა. საზღვრის ასეთი მონახაზი დღემდე შენარჩუნებულია.

# ჰონდურასელი პარლამენტარი საკუთარ ვილაზე ფუტკრების თავდასხმისგან დაიღუპა



ცენტრალურ ამერიკულ პარლამენტში ჰონდურასელი დეპუტატი ფუტკრების თავდასხმის მსხვერპლი გახდა. ინფორმაციას „ნიუსრუ ქომი“ ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ხულიო სარმენტოს ფუტკრებმა საკუთარ ქალაქგარე ვილაზე შეუტიეს. მრავალრიცხოვანმა კბენებმა 73 წლის პოლიტიკოსში ინფარქტის პროვოცირება გამოიწვია.

ადგილზე მისულმა ექიმებმა დეპუტატის საავადმყოფოში მიყვანა მოასწრეს, მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის დანარჩენი მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა.

ამჟამად დაღუპულის ვილაში მეხანძრეები იმყოფებიან, რომლებიც ტერიტორიას ფუტკრების საწინააღმდეგო სპეციალური სითხით ამუშავებენ.

# აშშ-ში 100 მოსწავლე თვითმფრინავიდან ჩამოსვეს: მათ ადგილების დაკავებასა და ტელეფონების გამორთვაზე უარი თქვეს




აშშ-ში, თვითმფრინავიდან ებრაული სკოლის დაახლოებით 100 მოსწავლე იმის გამო ჩამოსვეს, რომ აფრენის წინ საკუთარი ადგილების დაკავებასა და ტელეფონების გამორთვაზე უარი განაცხადეს. ინციდენტი 3 ივნისს ნიუ-იორკის აეროპორტ ლა-გუარდიაში მოხდა. უფროსკლასელები ატლანტაში სამდღიან ექსკურსიაზე მიემგზავრებოდნენ. თანამშრომლების თქმით, თავიდან ბორტგამცილებლებმა მათ წესრიგისკენ მოუწოდეს. ზოგიერთმა მოსწავლემ ეს არ შეისმინა, რის შემდეგაც მათ კაპიტანმა მიმართა. როცა ამანაც არ იმოქმედა, ყველა მოზარდს, მათ შორის მათ თანმხლებ რვა მასწავლებელს, სალონის დატოვება სთხოვეს.

შედეგად რეისი 45 წუთით გადაიდო. 137 ადგილზე გათვლილი თვითმფრინავი პრაქტიკულად ცარიელი გაფრინდა, ხოლო მოსწავლეებს ატლანტაში ჩასვლა სხვა რეისებით მოუწია.

მომხდარში სკოლის დირექტორი, მასწავლებლების ინფორმაციაზე დაყრდნობით, თვითმფრინავის ეკიპაჟს ადანაშაულებს.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

# თურქი დემონსტრანტები ქალაქების პოლიციის ხელმძღვანელთა გადადგომას მოითხოვენ



თურქი დემონსტრანტები სტამბოლის, ანკარისა და სხვა ქალაქების პოლიციის ხელმძღვანელთა გადადგომას მოითხოვენ. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. გამოცემის ინფორმაციით, თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გამოსული მომიტინგეები პოლიციის ხელმძღვანელთა გადადგომას პროტესტის მონაწილეთა მიმართ გადაჭარბებული ძალის გამოყენების გამო ითხოვენ. მათ ასევე უარი თქვეს მიიღონ ქვეყნის ვიცე-პრემიერის, ბიულენთ არინჩის ბოდიში, რადგან მათი განცხადებით, „მისმა რემარკებმა სამოქალაქო ომი მოაგონათ“.

აქციების მონაწილე ერთ-ერთი ჯგუფის „ტაქსიმის სოლიდარობის პლატფორმის“ განცხადებით, მათ ვიცე-პრემიერს საკუთარი მოთხოვნების ნუსხა გადასცეს. პოლიციის ხელმძღვანელთა გადადგომის გარდა, დემონსტრანტები მოითხოვენ, პოლიციამ შეწყვიტოს ცრემლსადენი გაზის გამოყენება, გაათავისუფლოს დაკავებული მომიტინგეები და შეჩერდეს „გეზი პარკის“ რეკონსტრუქცია.

„მოვლენების მიმართულებას მხოლოდ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები შეცვლის“, — განაცხადეს დაჯგუფება „ტაქსიმის სოლიდარობის პლატფორმის“ წევრებმა.

თურქეთში მასობრივ არეულობებს ორი ადამიანი შეეწირა, ათასობით კი დაშავებულია. სტამბოლში მიმდინარე მასობრივი აქციების მონაწილეები ასევე ქვეყნის პრემიერ-მინისტრისგან, რეჯეფ ტაიპ ერდოღანისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვენ. უცხოური მედიის ინფორმაციით, დემონსტრანტები არ აპირებენ შეწყვიტონ საპროტესტო გამოსვლები.

„ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ვიცე-პრემიერის გამოსვლა. თურქები მიიღებენ მხოლოდ მთავრობის მეთაურის, რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ბოდიშს, რომელიც არის ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკის მთავარი გამტარებელი“, — აცხადებენ აქციის მონაწილეები.

აქციის მონაწილეების განცხადებით, სტამბოლის ცენტრში აქციები მანამ გაგრძელდება, სანამ ერდოღანი მოსახლეობასთან განმარტებას არ გააკეთებს. გასულ კვირას სტამბოლში დაწყებული საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეებიც ტაქსიმის მოედანზე „გეზი პარკის“ რეკონსტრუქციისა და მის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის აშენების შეჩერებას მოითხოვდნენ, მასობრივ არეულობებში გადაიზარდა და თურქეთის ოთხი დიდი ქალაქი მოიცვა.

შეგახსენებთ, რომ სტამბოლში, ანტისამთავრობო დემონსტრაციის მეხუთე ღამეს, პოლიციამ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ კვლავ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

მიმდინარე არეულობის მეხუთე ღამეს აქციები არ შეწყვეტილა იზმირშიც, სადაც პოლიციამ წუხელ 25 ბლოგერი დააკავა სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ გავრცელებული „ცრუ ინფორმაციისთვისა“ და საპროტესტო მოწოდებებისთვის.

ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით, ყველა მათგანი დაკავებულია მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალური ქსელების მეშვეობით საზოგადოებას პროტესტისკენ მოუწოდებდნენ. ოპოზიციისვე მტკიცებით, სამართალდამცავები სხვა ბლოგერებსაც ეძებენ. რამდენიმე დღის წინ, ერდოღანმა, რომელიც ამჟამად მაროკოში იმყოფება, საჯარო გამოსვლაში აღნიშნა, რომ ტვიტერი „ტყუილების გავრცელებას უწყობს ხელს“.

ადგილობრივი მასმედიის ინფორმაციით, დემონსტრანტები სოციალური ქსელების მეშვეობით ახდენენ პროტესტის კოორდინაციას, გეგმავენ შეკრების ადგილებს და ატყობინებენ ერთმანეთს პოლიციის ადგილმდებარეობას და იმ ადგილებს, სადაც სამართალდამცავები ცრემლსადენ აირსა და წყლის ჭავლებს იყენებენ.

თურქეთის ადამიანის უფლებადამცველი ასოციაციის განცხადებით, 28 მაისს დაწყებული მასობრივი არეულობებიდან დღემდე, 2 800 დემონსტრანტია დაშავებული, მათ შორის ბევრი საკმაოდ სერიოზულად. პოლიციამ 791 ადამიანი დააპატიმრა, თუმცა ამ დროისთვის დაახლოებით 500 გათავისუფლებულია. ბიულენთ არინჩის განცხადებით, დაშავებულია 244 პოლიციელი და 64 დემონსტრანტი. ამ დროისთვის კი ზარალმა 70 მილიონი თურქული ლირა (37 მილიონი დოლარი) შეადგინა.

# „ზემო ლარსის“ ოცდაოთხსაათიან რეჟიმზე გადაყვანა ხელსაყრელია სომხეთის მცხოვრებლებისთვის

*(კავკაზსკი უზელი)*

1 ივნისიდან საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ზემო ლარსის“ 24-საათიან რეჟიმზე გადაყვანა, რუსეთთან უვიზო რეჟიმის გამო, ხელსაყრელია სომხეთის მცხოვრებლებისთვის, მიიჩნევს ჩრდილოეთ ოსეთში პარტია „იაბლოკოს“ რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი ანატოლი სიდაკოვი.

შეგახსენებთ, რომ 1 ივნისიდან 30 სექტემბრამდე, რუსეთის საზღვრის გავლით „ზემო ლარსზე“ და ქართულ გამშვებ პუნქტ „ყაზბეგზე“ მრავალმხრივი საავტომობილო პუნქტის მუშაობის რეჟიმი ოცდაოთხსაათიანი გახდა. ასევე, 10 ივნისიდან 10 სექტემბრამდე პერიოდში, საქართველოს სამხედრო გზაზე „ზემო ლარსიდან“ სამხრეთით 300 მეტრში, კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩატარდება.

სასაზღვრო პუნქტი „ზემო ლარსი“ 1 მარტიდან მუშაობის საგაზაფხულო-საზაფხულო რეჟიმზე გადავიდა. ჩრდილოეთ ოსეთის სასაზღვრო სამმართველოში უკვე აღნიშნეს, რომ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით მოქალაქეების და ტვირთების ნაკადის მკვეთრ გაზრდას ელიან, განსაკუთრებით რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

სომხეთის მოქალაქეებისგან განსხვავებით, საქართველოს მცხოვრებლებს ვიზა სჭირდებათ იმისთვის, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, გვახსენებს ანატოლი სიდაკოვი.

„რუსეთის მოქალაქეებისთვის ეს ხელსაყრელია, ხოლო საქართველოს მოქალაქეებისთვის მაინც საჭიროა ვიზა, რათა რუსეთის ტერიტორიაზე მოხვდნენ. ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა სომხეთის მოქალაქეებისთვისაა, რადგან მათთან უვიზო რეჟიმი გვაქვს. ახლა სეზონია, ამიტომ უკვე დღეს ჩრდილოეთ ოსეთის და რუსეთის ბევრი მოქალაქე იქ დასასვენებლად მიდის. მე მყავს ნაცნობი, რომელიც ტურიზმითაც კი არის დაკავებული, ბათუმში დასასვენებლად ადამიანები ჩაყავს“, — განუცხადა „კავკაზსკი უზელის“ კორესპონდენტს ანატოლი სიდაკოვმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ ოსეთის ტაქსისტების მოსაზრებები ერთმანეთისგან განსხვავდება. ნაწილი გაახარა საკონტროლო-გამშვები პუნქტის, „ზემო ლარსის“ 24-საათიან რეჟიმზე გადასვლამ, ხოლო მეორე ნაწილი არა:

ვლადიკავკაზის ნომერ პირველ ვაგზალზე კერძო ტაქსისტები ჩივიან, რომ უკვე რამდენიმე დღეა უსაქმოდ სხედან. ამბობენ, რომ საქართველოს მონახულების მსურველი ცოტა არ არის და ფასიც არცთუ მაღალია — ერთი მიმართულებით ადამიანზე 800 რუბლი, მაგრამ ახლა ადამიანები საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებას ცდილობენ.

ერთ-ერთმა ტაქსისტმა ანონიმურობის საფუძველზე განაცხადა, რომ მისთვის სასაზღვრო გრაფიკში ცვლილება არაფერს ცვლის:

„ხალხი ისედაც არ არის. აი შეხედეთ, ჩვენ მესამე დღეა უსაქმურად ვართ. ამასთან, ღამით სიარული არავის სურს“, — ამბობს ტაქსისტი.

— მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადაყვანა, სატრანსპორტო საშუალებების თანაბრად გადანაწილების საშუალებას მოგვცემს და გამშვები პუნქტის წინ მანქანების მოგროვებას შეამცირებს, თავის მხრივ მიიჩნევს ჩრდილოეთ ოსეთის სასაზღვრო სამმართველოს წარმომადგენელი.

ვლადიკავკაზის მცხოვრებმა რაია დზანტიევამ ამასწინათ მეგობრებთან ერთად საქართველო მოინახულა. გოგონამ დადებითად მიიღო ამბავი იმის შესახებ, რომ საქართველოსა და რუსეთის დამაკავშირებელი საკონტროლო-გამშვები პუნქტი „ზემო ლარსი“ მუშაობის სრულ რეჟიმზე გადადის.

„იქით გზაზე გვხვდებოდნენ ავტობუსები ტურისტებით. ადამიანებისთვის ძალიან ხელსაყრელია ის, რომ ახლა „ზემო ლარსი“ 24-საათიან რეჟიმზე გადაიყვანეს; რადგან, როცა მივემგზავრებოდით, იქ ექვსი საათი ვიდექით და გვეშინოდა, რომ ღამის ათ საათამდე გავლას ვერ მოვასწრებდით“, — უამბო „კავკაზსკი უზელს“ რაია დზანტიევამ.

მისი თქმით, დიდი ხანია საქართველოს მონახულება სურდა, რადგან გაგონილი ჰქონდა თბილისის ღირსშესანიშნაობების შესახებ.

„დიდი ხანია საქართველოში, ყველაზე მეტად თბილისში მოხვედრა მსურდა. ჩვენ ბევრი ადამიანისგან, ნაცნობებისგან გვესმოდა, რომ იქ დიდი სილამაზეა. მეგობრებთან ერთად გავემგზავრე და ამაში ადგილზე დავრწმუნდი. ეს არის მასშტაბური და ევროპეიზირებული ქალაქი. თბილისში ძალიან ბევრი ღირსშესანიშნაობაა, მაგრამ გამგზავრებამდე ჩვენ წავიკითხეთ, რის ნახვა შეიძლება, სად უნდა წავსულიყავით. ძველი თბილისი ძალიან ლამაზია, ახლომდებარე ქალაქები ასევე შემოვიარეთ. იქ ვნახეთ ტურისტები ვოლგოგრადიდან, სტავროპოლიდან. იქ ხუთი დღე გავატარეთ, ხოლო შემდეგ ბათუმში გავემგზავრეთ, სადაც ასევე 5 დღე გავატარეთ. რასაკვირველია, ეს ცოტაა და ჩვენ ვგეგმავთ, რომ ზაფხულში იქ კიდევ ერთხელ ჩავიდეთ“, — ამბობს გოგონა.

რაც შეეხება ფასებს, რაია დზანტიევას თქმით, საქართველოში ყველაფერი ხელმისაწვდომია. „ვერ ვიტყვი, რომ იქ სიძვირეა. უფრო სიიაფეა, ვიდრე ჩვენთან ოსეთში. სახსრებიც ბევრი არაა საჭირო და დასვენებაც კარგი და დატვირთული გამოდის“, — ამბობს ის.

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 6 ივნისი**

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 17.30 „საფარი„ 18.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ 21.00 „საჯარო პოლიტიკა„ 22.00 ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „ჩრდილოეთის ქვეყანა„ (შ.ტერონი) 02.00 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ მე-6 (დასკვნითი) ნაწ. 14.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ მე-3 ნაწ. 16.00 დ/ფ „ბალადა დედოფლისთვის„ 21.30 „არგუმენტების დრო„ (პ/ე) 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 23.00 კრიმ. სერ. „უკანასკნელი ნათლია„ 4 სერ. 23.00 მხ/ფ „კივილი 4„ (კ.კოქსი) 01.20 მხ/ფ „მფრინავი ხანჯლების სახლი„ (ე.ლაუ)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 მხ/ფ „ანა და მეფე„ I სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 მხ/ფ „ქრისტინე„ 11.00 ირაო 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „მყუდრო სავანე„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „არსენას ლექსი„ 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 სახარება-ოთხთავის წმ.გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესახებ (ე.ჭელიძე) 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ/ფ „ჰობოი„ 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ანა და მეფე„ II სერ.

მაესტრო 7.00, 3.00, 5.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 1.00 ახალი ამბები 11.00 კვირის აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ (გამ.) 14.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 მაგთიფანი კონცერტი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.00 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6495

ევრო — 2,1462

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5158

100 რუსული რუბლი — 5,1469

**ამინდის პროგნოზი 6 ივნისისთვის**





## 29 მაისიდან

## ჟურნალ „სარკესთან“ ერთად მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები




**უკვე გამოსულია:**

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე ახლოვდება დაუთმეთ

## ასტროპროგნოზი 6 ივნისისთვის

**ვერძი** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, დასაჩუქრდებით. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემა არ გაქვთ. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალ სამსახურს შეეგუებით, ფულიც გექნებათ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ნუ აყვებით პროვოკაციას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ღრიანკალი** — პრობლემა მალე მოგეხსნებათ, ცოტაც მოითმინეთ. **მშვილდოსანი** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გაქვთ დანიშნული. **თხის რქა** — ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **მერწყული** — მთლიანობაში დამღლელი დღეა, მაგრამ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — მეგობრების წრეში გაერთობით, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს; 2. ჯიშის გასაუმჯობესებლად შერჩეული ცხოველის ან მცენარის საუკეთესო ეგზემპლარი; 3. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. ჩეხი დრამატურგი, მწერალი, ყოფილი პრეზიდენტი; 12. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 14. შტატი ბრაზილიაში; 15. მდინარე კახეთში; 18. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 18. ცელქი, მოუსვენარი ბავშვი.

**თარაზულად:** 6. დაქირავებული კავალერი; 7. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 8. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა; 10. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 13. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 19. ციხე-სიმაგრე თბილისში; 20. უღელტეხილი კავკასიონზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



# ოთარ მეღვინეთუხუცესის კოსტიუმები ხელოვნების სასახლეშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს ქართული თეატრისა და კინოს მსახიობის ოთარ მეღვინეთუხუცესის ოთხი სასცენო კოსტიუმი გადაეცა. ამ მუზეუმში მსახიობის სხვა პირადი ნივთებიც მრავლად არის დაცული, თუმცა ამ კოსტიუმებით საგამოფენო სივრცეში მუდმივმოქმედი ექსპოზიცია უახლოეს მომავალში გაიხსნება.



მეფე ლირის მოსასხამი კოტე მარჯანიშვილის დრამატული თეატრის სპექტაკლიდან „მეფე ლირი“, კრეონის ჟაკეტი სპექტაკლიდან „ანტიგონე“, პილატეს მოსასხამი სპექტაკლიდან „პილატე“, ასევე პლაში და ქუდი სპექტაკლიდან „პროვინციული ამბავი“.

კოსტიუმები მუზეუმს ქალბატონმა გურანდა გაბუნიამ გადასცა, ოფიციალურ დოკუმენტსაც მოაწერა ხელი და ამ ყველაფერში მას რეჟისორი ნიკა წულუკიძე დაეხმარა.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, სულ მალე საზოგადოებას საშუალება ექნება გაეცნოს ნიკა წულუკიძის მიერ გამოცემულ წიგნს, რომელიც მთლიანად ოთარ მეღვინეთუხუცესის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება.

ოთარ მეღვინეთუხუცესი 81 წლის ასაკში 9 მაისს გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე, მას საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში უკვდავთა თაღში ხელის ანაბეჭდების დაფა გაუხსნეს. ელდარ შენგელაიას შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მეორე აღმოჩნდა, ვისაც ეს პატივი წილად ერგო.

ოთარ მეღვინეთუხუცესი მარჯანიშვილის თეატრში გარდაცვალებამდე სამ სპექტაკლში მონაწილეობდა — დავით საყვარელიძის „წიგნში“, თემურ ჩხეიძის „ანტიგონეში“ და ირაკლი გოგიას „მემუარებში“. ტელეეკრანზე სულ ბოლოს მსახიობი გამოჩნდა ვერიკო ტურაშვილის კლიპში „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს“, რომელიც ანრი ჯოხაძემ გადაიღო.

მუზეუმისთვის სასცენო კოსტიუმების გადაცემის ცერემონიალს მსახიობის მეგობრები, ოჯახის წევრები, კოლეგები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. როგორც მსახიობის მეუღლემ გურანდა გაბუნიამ აღნიშნა, ოთარ მეღვინეთუხუცესი ბედნიერი ადამიანი იყო, რადგან მთელი ცხოვრება თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა.

**გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესის მეუღლე:**

— პირველად ვლაპარაკობ ასე ღიად მისი გარდაცვალების შემდეგ, ერთადერთი რაზეც მწყდება გული, რომ წერდნენ ჟურნალისტები, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალაო, არ ყოფილა ასე. 10 დღეც არ შევუწუხებივარ. ბედნიერებაა, რომ არსებობს ეს მუზეუმი, რომ ეს კოსტიუმები არ დაიჭრება და სხვისთვის არ გადაკეთდება, ასე ხდება ხოლმე თეატრში ყოველთვის. ბედნიერებაა, რომ გავა წლები, გაიზრდებიან მსახიობები, მოვლენ ამ მუზეუმში, ნახავენ, ჩვეულებრივი ადამიანებიც შემოვლენ და ნახავენ. ის ბედნიერი კაცი იყო, იმიტომ, რომ თავის საქმეს აკეთებდა, მისთვის არსებობდა, სხვა არაფერი არ აინტერესებდა ცხოვრებაში, მარტო თავისი საქმე, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა და ამით იყო უბედნიერესი.

**ელდარ შენგელაია, კინორეჟისორი:**

— ოთარ მეღვინეთუხუცესი სიმართლის და ნამუსის ადამიანი იყო. მან შექმნა არაერთი შესანიშნავი როლი ქართულ თეატრში, არაერთი შესანიშნავი როლი კინოში, მაგრამ დათა თუთაშხიაში მან შექმნა ისეთი სახე, რომელიც ქართული ერის გმირობის განსახიერებაა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე ადრე წავიდა ჩვენგან, მას კიდევ შეეძლო მრავალი შესანიშნავი როლი შეექმნა როგორც კინოში, ასევე თეატრში.

**ნიკა წულუკიძე, თეატრმცოდნე:**

— ოთარ მეღვინეთუხუცესი იყო გამორჩეული ფიგურა ქართულ კულტურულ სივრცეში. თუკი ვინმე ქართულ თეატრში იმსახურებდა უმაღლეს ეპითეტებს, ეს რასაკვირველია, უპირველესი იყო ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი, ის დიდი კი არა, უპირველესი ადამიანი იყო. მის შემოქმედებაზე თაობები გაიზარდნენ და ასე იქნება მომავალშიც.

**გიორგი კალანდია, მუზეუმის დირექტორი:**

— ოთარ მეღვინეთუხუცესის ეს 4 კოსტიუმი შენახული იქნება სამუზეუმო პირობებში, ისე, როგორც ეკადრება ბატონ ოთარს. ძალიან მალე კი მუდმივ ექსპოზიციაში დაიმკვიდრებს ადგილს. ოთარ მეღვინეთუხუცესი არის ის სახელი ქართული თეატრის და ხელოვნების ისტორიაში, რომელსაც ეკუთვნის საგამოფენო დარბაზის მუდმივი ექსპოზიცია და პირობას გაძლევთ, რომ ეს ძალიან მალე მოხდება.

# მორიგი საფრთხე — საქართველოს ჩემპიონატი ჩაშლის პირას ჩანასახშივეა

**ქართული ფეხბურთი მორიგი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. შესაძლოა, მომდევნო ჩემპიონატი საერთოდ არ გაიმართოს. ამის მიზეზი სახელმწიფოს მიერ გორის „დილას“ დაფინანსებაა.**




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფედერაციის ჩინოსნებთან უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართა. სფფ-დან იყვნენ პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, გენერალური მდივანი რევაზ არველაძე და ვეტერანი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა.

შეხვედრაზე საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გაკეთდა — კერძოდ, 8 კლუბმა უარი განაცხადა ჩემპიონატში მონაწილეობაზე, თუ მათ 2 მილიონი ლარი არ შეხვდებათ — ის თანხა, რაც გორის „დილამ“ მიიღო სახელმწიფოსგან.

ეს 8 გუნდია: „დინამო“ (თბილისი), „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“, „მეტალურგი“, „სიონი“, „ზუგდიდი“, „მერანი“, „ტორპედო“.

როგორც ხედავთ, კერძო კლუბების გარდა, მუნიციპალური გუნდებიც ბოიკოტს აცხადებენ.

ფედერაციის რეაქციაც ბუნებრივი იყო — თუკი 8 გუნდი არ გამოვა, ჩემპიონატს ვერ ჩავატარებთო.

როგორი გაგრძელება ექნება ამ ყველაფერს, სავარაუდოდ, უახლოეს ხანში შევიტყობთ.

მ. ჟ.

# ლევან წულაძე ახალ თეატრს ხსნის

რეჟისორი ლევან წულაძე ახალ თეატრს ხსნის. 7 ივნისიდან მარჯანიშვილის თეატრს ახალი სცენა შეემატება. ამის შესახებ ინფორმაციას თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი თამუნა ლალიაშვილი ავრცელებს.

— დრომ მოიტანა ახალი თეატრის, აზრის ახლებურ და აქამდე არათვისებულ სივრცეში გაცოცხლების აუცილებლობა. ახალ სივრცეში გადასვლა, გულისხმობს თეატრალური ატრიბუტიკისაგან — ფარდა, მასშტაბური დეკორაცია, ლოჟა, ვეებერთელა პარტერი — გათავისუფლებას, სადაც თეატრს შეუძლია არსებობა „თეატრალურობის“ გარეშე, სადაც პრინციპში შესაძლოა მოვიდეს ისეთი მაყურებელი, რომელსაც სულაც არ უყვარს თეატრი, უფრო სწორად, ის ტრადიციული მახასიათებლები, რომელიც თეატრალურობის ნაწილად იქცა. ნებისმიერი ასეთი სცენა, განსხვავებული სივრცე, განსხვავებულ რაკურსში აყენებს მსახიობს და განსხვავებულ რაკურსში აღაქმევინებს მაყურებელს იგივე მსახიობს. შეიძლება ახალი თეატრის იდეაც ეს არის — განსაკუთრებული, უფრო „ფამილარული“ ურთიერთობის დამყარება მაყურებელსა და დასს შორის, — აღნიშნავს თამუნა ლალიაშვილი.

ახალი სცენა — რა იქნება სცენის მიღმა?

— თეატრში შესასვლელი მთავარი კარი „თეატრალური სარდაფიდან“ წამოვიღეთ. მაყურებელთა ფოიე გადავწყვიტეთ ფრანგული მონპარნასის პერიოდის, ატელიეების მსგავსი გაგვეკეთებინა. სალაროსთან მოვაწყობთ შირმას და ეკრანს, თითქოს სარკმელია, რომელშიც კულისები მოსჩანს. გამოჩნდება მსახიობები სპექტაკლის დაწყების წინ, ვიღაც ულვაშს იწეპებს, ვიღაც თმას ისწორებს, სარკმელში თეატრალური ამბები გათამაშდება. მსახიობთა ფოიე იქნება ღია და გამჭვირვალე — მაყურებელი რეალურად დაინახავს როგორ ემზადება მსახიობი სპექტაკლის



წინ, როგორ ისვენებს და ემზადებიან სცენაზე გასასვლელად. ეს მხარე იქნება პატარა „ჭუჭრუტანა“, პირობითად — „კულისების სამყაროში“. პატარა ბუფეტსაც მოვაწყობთ, გრძელ მაგიდას დავდგამთ თავისი სკამებით. ადამიანებმა შესაძლოა ერთმანეთიც გაიცნონ და დამეგობრდნენ კიდეც თეატრში. ახალი სცენა — სწორედ ასეთი სივრცეა, სადაც ზღვარი სინამდვილესა და თეატრალურ პირობითობას შორის არაა. თეატრი თეატრის გარეშე. თეატრი ცხოვრების გაგრძელება. თეატრი როგორც ვარჯიში თავისუფლებაში. მარჯანიშვილის თეატრს ახალი ცხოვრება შეემატება, — ამბობს რეჟისორი ლევან წულაძე.

7 ივნისს ამჯერად შენობის გარეთ, ამავე ქუჩაზე, თეატრის მოპირდაპირე მხარეს მარჯანიშვილის №5-ში ახალი სცენა გაიხსნება სპექტაკლით „ტარტიუფი“, რომელიც რეჟისორმა ლევან წულაძემ ჟან ბატისტ მოლიერის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით დადგა.

— დიდხანს ვიფიქრე, რითი, რომელი პიესით გამეხსნა ახალი სცენა და გადავწყვიტე, მოლიერის არაჩვეულებრივი პიესა „ტარტიუფი“ დამედგა. ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილებაა, კომედია, რომელიც იქნება დელარტესე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე